ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 18 სექტემბერი, 2017 №221 (7456) ფასი: 50 თეთრი

49 წლის მევლუდ აბესაძე თანამშრომელმა ხელფასის გამო მოკლა

გვ.7

15 სექტემბრიდან

ედუარდ ლირი

ბუკნაჭო და ფისუნია

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

„პატრიარქის სახლში შორენა თეთრუაშვილი და გიორგი ანდრიაძე ტერორიზმში ბრალდებულ პირებს მალავდნენ“

გვ.2



მიხეილ რამიშვილი: „პროკურატურამ ყველაფერი გააკეთა, რომ სოსო ოხანაშვილს სასამართლოზე ჩვენება არ მიეცა“

ზვიად კუპრავა: „მამა გიორგის ადვოკატებს ეს ჩვენება უნდა გაესაჯაროებინათ“

გვ.3

სოსო ცინცაძე: „სააკაშვილის სასამართლო საუკუნის სასამართლო იქნება“

„დასავლეთის თვალში ის არის კორუფციასთან დაუძინებლად მებრძოლი“

გვ.4

თამარ ჩხეიძე: „უკრაინაში წარმატება სააკაშვილის პოპულარობას საქართველოშიც გაზრდის“

გვ.5

მამუკა ხუსკაძე: „ქადაგიძეს, შალიკაშვილს და მესტვირიშვილს პროკურატურაში ვუჩივლებთ“

თბილისში ახალი, 23-ე მეტროსადგურის, „უნივერსიტეტის“, მშენებლობა დასრულდა

გვ.5

ბულაჩაურის ქუჩიდან მიროტაძის ქუჩამდე ველობილიკი ეწყობა

გვ.6

თამარ ჩუგოშვილი „აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები დაიწყება“

ედიშერ მამალაძე: „3.5 მილიარდი, რაც სახელმწიფო შესყიდვებში იხარჯება, საქართველოშივე დარჩება“

გვ.6

რა ცვლილებები იგეგმება მიწის კანონში და რატომ ითხოვენ ბანკები გამონაკლისს

რომელი პროდუქტები გაძვირდება და შემოდის საქართველოში

აგვისტოში საარსებო მინიმუმი 20 თეთრით გაიზარდა

ISSN 1987-9385

2017, 18 სექტემბერი, №221

სოსო ოხანაშვილი: „პატრიარქის სახლში შორენა თეთრუაშვილი და გიორგი ანდრიაძე ტერორიზმში ბრალდებულ პირებს მალავდნენ“

მიხეილ რამიშვილი: „პროკურატურამ ყველაფერი გააკეთა, რომ სოსო ოხანაშვილს სასამართლოზე ჩვენება არ მიეცა“

შორენა მარსაგიშვილი

საპატრიარქო მოხიგ სჯანდაღში გაეხვია, ჰომელიც ციანიდის სჯანდაღზე უფრო დიდ სჯანდაღად შეფასდა. პატრიარქის დაცვის სამსახურის ყოფილი უფროსი სოსო ოხანაშვილი აცხადებს, ჰომ შორენა თეთრუაშვილი ტერორიზმში ბრალდებულებს პატრიარქის სახლში მალავდა.

სკანდალური შორენას გარდა, ოხანაშვილმა ტერორიზმში ბრალდებულებისთვის კალთის გადაფარებაში ბრალი საპატრიარქოს უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ანდრიაძესაც დასდო.

სკანდალური განცხადება პატრიარქის დაცვის სამსახურის ყოფილმა უფროსმა ციანიდის საქმის განხილვისას გააკეთა. ის ამ დროისთვის გერმანიაშია და ჩვენება სასამართლოს გერმანიიდან, სკაიპის მეშვეობით მისცა.

წესით და რიგით, ამ საკითხზე მაშინვე უნდა დაწყებულიყო გამოძიება. ოხანაშვილმა ჩვენება 25 ივლისს მისცა, თუმცა დღემდე ამ საქმეზე არავინ დაკითხული არ არის.

საპატრიარქოს უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი უფროსის სკანდალური ჩვენების ნაწილი ტელეკომპანია რუსთავი 2-მა გაასაჯაროვა.

ციანიდის საქმეზე დაკავებული მამა გიორგი მამალაძის ადვოკატი მიხეილ რამიშვილი „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ოხანაშვილმა იმ დღეს კიდევ ბევრი სკანდალური განცხადება გააკეთა.

ადვოკატისთვის უცნობია, თუ როგორ ჩაუვარდა ხელში ტელეკომპანიას ეს ჩანაწერი.

ოხანაშვილის თქმით, პატრიარქის სახლში, რომელიც თბილისში, მცხეთის ქუჩაზე მდებარეობს (სახლი ილია II-ს ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა აჩუქა), 2016 წელს რამდენიმე თვის განმავლობაში ტერორიზმში, ადამიანის მკვლელობასა და გატაცებაში ბრალდებული სამი პირი იმალებოდა. მათ თურქი სამართალდამცველები ეძებდნენ.

ილია II-ის დაცვის ყოფილი უფროსის ჩვენებიდან ირკვევა, რომ სახლში თურქეთის ძებნილი მოქალაქეები პატრიარქის დაცვის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს და ისიც დაადგინეს, რომ უწმინდესის რეზიდენციაში ისინი პატრიარქის მდივან-რეფერენტმა, შორენა თეთრუაშვილმა და საპატრიარქოს უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, გიორგი ანდრიაძემ, დააბინავეს.

მისი თქმით, ქართველი ძალოვნები ფლობდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თურქეთის მიერ ძებნილი პირები საქართველოში იმყოფებოდნენ. ანდრიაძე და თეთრუაშვილი რამდენიმე თვის მანძილზე ისე მალავდნენ ძებნილებს პატრიარქის სახლში, რომ ამის შესახებ ილია II-მ არაფერი იცოდა.

ზვიად კუპრავა: „მამა გიორგის ადვოკატებს ეს ჩვენება უნდა გაესაჯაროებინათ“

როგორც დაცვის ყოფილი უფროსი ამბობს, ძებნილების შეფარებაზე პატრიარქს ინფორმაცია მან მიაწოდა. მისივე თქმით, დაცვის სამსახურმა ტერორიზმში ბრალდებულები ილია II-ის სახლიდან გასული წლის აპრილის თვეში გაიყვანა.

გიორგი ანდრიაძე ოხანაშვილის ბრალდებებს უარყოფს. მისი თქმით, პირები რომლებიც პატრიარქის სახლში დააბინავეს, ლაზები იყვნენ. ანდრიაძე ამტკიცებს, რომ მათ საქართველო ძალიან უყვართ.

მისი ინფორმაციით, მათ მიერ კალთაგადაფარებულ პირებს თურქეთის ხელისუფლებასთან პრობლემები საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ შეექმნათ.

– ჩვენთან მოდიან ყველანაირი ტიპის ლაზები, თურქეთის ოფიციალური სტრუქტურის წარმომადგენლები, ოპოზიცია, ათეისტები, ისლამისტები. პატრიარქის სახლი გადმოცემული გვქონდა ჩვენ წლების განმავლობაში. ამ სახლში სისტემატურად ჩამოდიოდნენ ლაზეთიდან სტუმრები. ეს ადამიანები არ შემოპარულან ტყით და ზღვით. ოფიციალურად ჩაურტყეს ბეჭედი და შემოვიდნენ საზღვრიდან. პრობლემები გაუჩნდათ მერე, ალბათ, როდესაც თურქეთში დემოკრატიული ჯგუფების დევნა დაიწყო, – აღნიშნავს ანდრიაძე.

საპატრიარქოს უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ამტკიცებს, რომ მისი და შორენას პროტეჟეები დემოკრატები არიან.

– ეს ადამიანები არ იყვნენ ისლამისტები, ისინი იყვნენ დემოკრატიულად მოაზროვნე ადამიანები. ეს პიროვნებები რომ დაიჭირეს, საქართველოს მთავრობას მათთან პრობლემა არ ჰქონია. გაიმართა სასამართლო პროცესი და ერთი მათგანი გამოუშვეს. დღესაც საქართველოში ცხოვრობს, – აღნიშნავს ანდრიაძე.

თურქეთის ხელისუფლების მიერ ძებნილებზე და საპატრიარქოს წარმომადგენლების ურთიერთობაზე სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს „ქრონიკა +“-ის რედაქტორი ელისო კილაძე.

მისი თქმით, 2016 წლის გაზაფხულზე გლდანის მერვე საპყრობილეში იჯდა ტერორიზმში ეჭვმიტანილი, ინტერპოლით ძებნილი მუსტაფა ზორლუჯანი, რომელსაც საპატრიარქოს ადვოკატი ედიშერ ქარჩავა იცავდა.

ქარჩავა სასამართლოზე პატიმრისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლას ითხოვდა და საპატრიარქოს წერილობითი რეკომენდაციაც წარმოადგინა.

მოსამართლემ რეკომენდაცია არ გაითვალისწინა და მუსტაფა ზორლუჯანის თურქეთში ექსტრადირება მოხდა.

* * *

ადვოკატი მიხეილ რამიშვილი „ახალ თაობასთან“ საუბარში იხსენებს თუ როგორ არ უნდოდა პროკურატურას, რომ სოსო ოხანაშვილს სასამართლოსთვის მიეცა ჩვენება.

– სოსო ოხანაშვილი იყო ბრალდების მოწმე. პროკურატურა ყველაფერს აკეთებდა, რომ მას სასამართლოზე არ მიეცა ჩვენება. ოხანაშვილი გერმანიაში გაემგზავრა და ამბობდნენ, რომ მას ვერ პოულობდნენ. ისიც თქვეს, რომ მას ჩვენების მიცემა არ სურდა.

დაცვის მხარემ, ჩვენი ძალებით მოვიძიეთ ეს ადამიანი და ვკითხეთ, რატომ იყო წინააღმდეგი, მიეცა ჩვენება. მან გვითხრა, რომ არანაირი შეტყობინება არ მისვლია და ჩვენების მიცემაზე თანხმობა განაცხადა, – აღნიშნავს რამიშვილი.

ადვოკატის ინფორმაციით, სასამართლოზე მოწმემ ბევრ რამეზე, მათ შორის პატრიარქის სახლში ძებნილების დამალვაზეც ისაუბრა.

რამიშვილი ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ამ სკანდალურ განცხადებაზე ოხანაშვილს კითხვები არც ბრალდების და არც დაცვის მხარემ არ დაუსვა.

ადვოკატების დუმილს ის ასე ხსნის:

– ადამიანმა ისე სრულყოფილად ილაპარაკა, რომ კითხვის დასმა საჭირო არ იყო. თანაც რა ფერის სამოსი ეცვათ და რომელ ოთახში ეძინათ სტუმრებს, ეს ციანიდის საქმესთან არანაირ შემხებლობაში არ ყოფილა.

რამიშვილი ამბობს, რომ ამ სკანდალურ განცხადებაზე რეაგირება საგამოძიებო უწყებას უნდა მოეხდინა.

– რეაგირება უნდა მოეხდინათ საგამოძიებო სამსახურებს და პირველ რიგში, პროკურატურას. როცა სჭირდებათ, ოპერატიულად რეაგირებენ.

რამდენიმე მაგალითს მოვიყვან. პროკურატურის მთავარ მოწმეს, ირაკლი მამალაძეს, ბათუმიდან ვიღაცამ დაურეკა, ეს მუქარად ჩათვალეს და სასწრაფოდ აღძრეს საქმე. ირაკლი ფირცხალავამ ირაკლი მამალაძეზე განაცხადა, რომ ის სპეცსამსახურების აგენტ-პროვოკატორი იყო. პროკურატურამ მაშინვე აღძრა საქმე ფირცხალავას წინააღმდეგ.

ოხანაშვილის სკანდალურ განცხადებაზე რეაგირება არ ყოფილა. ჩვენთვის არაფერია ცნობილი იმაზე, რომ ამ ინფორმაციით საგამოძიებო უწყებები დაინტერესდნენ. ეს გასაკვირიც კი არ არის, არამედ პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ტანდემში არიან, – აცხადებს რამიშვილი.

ის იხსენებს, რა მოხდა სასამართლოზე, როცა ოხანაშვილმა სკანდალური ინფორმაცია გააჟღერა:

– როცა ამ ჩვენებას იძლეოდა ოხანაშვილი, ბრალდების მხარე ძალიან დაიძაბა. საგამოძიებო მოქმედებებს ვერ დავიწყებ, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ დაცვის ყოფილმა უფროსმა სრულყოფილი ინფორმაცია მოგვაწოდა.

ოხანაშვილს პროკურატურისთვის ჩვენება სასამართლომდეც ჰქონდა მიცემული. დაცვის მხარე ვარაუდობს, რომ ძებნილების შეფარებაზე ოხანაშვილმა სასამართლოზე პირველად ისაუბრა.

– ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამ თემაზე პროკურატურას-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, წურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – წურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სოსო ცინცაძე: „სააკაშვილის სასამართლო საუკუნის სასამართლო იქნება“

„დასავლეთის თვალში ის არის კორუფციასთან დაუძინებლად მებრძოლი“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ მომავალზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, უკრაინაში სააკაშვილის მონაწილეობით პოლიტიკური პროცესი დასრულდა?

– არა, ჯერჯერობით არ დასრულებულა. მეტიც, საპროტესტო პირობები დღითიდღე მწიფდება და ძალას იკრებს. „მაიდანის“ შემდეგ სულ სხვა უკრაინას ელოდა რიგითი უკრაინელი. პოროშენკო არ გამოდგა ეროვნული გმირი. სააკაშვილი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოკლე დროით, მაგრამ პოპულარული იყო. პოროშენკო საერთოდ არ ყოფილა პოპულარული. ცხადია, ამ ყველაფერს სააკაშვილი სათავისოდ იყენებს. ვერაფერი გააკეთა პორეშენკომ, იგივე ოლიგარქები, იგივე ცხოვრების დონე და, რაც მთავარია, დაკარგულია დონბასი, უკრაინის სამრეწველო გული.

– ამ ფონზე როგორია სააკაშვილის გეგმები?

– კი ამბობს, რომ მას პრეზიდენტობა არ უნდა, პირველი კაცობა არ უნდა, მაგრამ მისი ბუნება მეორე კაცობას, ჩრდილში ყოფნას ვერ იტანს. ეს კარგად უნდა სცოდნოდა მის ჯგუფელ თუ კურსელ პოროშენკოს, ვინაიდან კარგად იცნობს ახალგაზრდობიდანვე.

სააკაშვილი იმ პროცესის დეტონატორად იქცა, რომელიც უკრაინაში ღვიოდა. მე ვფიქრობ, ისევ იულია ტიმოშენკო და სხვა ოპოზიციის პოპულარული ლიდერები გაერთიანდებიან. ამის შანსი უფრო არის დღეს უკრაინაში, ვიდრე საქართველოში. სწორი ქნა სააკაშვილმა, რომ ეს მოძრაობა დასავლეთ უკრაინაში დაიწყო, რადგან დასავლეთ უკრაინა ყოველთვის განსხვავდებოდა აღმოსავლეთ უკრაინისგან. თანაც კარგად იცნობს უკრაინელ ხალხს, ის უკრაინაში თავს გრძნობს, როგორც თევზი წყალში.

– ახალი „მაიდანი“ არის შესაძლებელი?

– იმ მასშტაბის არა, რაც იყო. იანუკოვიჩი სხვა იყო, პოროშენკო კი სულ სხვაა. იანუკოვიჩის ზურგს უკან რუსეთი იდგა, დღევანდელი პრეზიდენტის უკან კი დასავლეთი დგას. მე არ მჯერა, რომ პოროშენკო ახალი ერდოღანი გახდება და მასობრივი დაპატიმრებები დაიწყება, ეს გამორიცხულია.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ სააკაშვილმა რაც ვერ შეძლო ოდესის ოლქის გუბერნატორობით, ახლა სწორედ მეამბოხე ოპოზიციონერის ამპლუით აპირებს?

– ერთია გუბერნატორი, რომელიც მაინც სისტემის წარმომადგენელია ფორმალურად და მეორეა, იყო ოპოზიციონერი.

– სისტემის შეცვლა არ შეეძლო?

– არა, გუბერნატორი სისტემას ვერ შეცვლის. გუბერნატორს შეუძლია შეებრძოლოს სისტემას, ამხილოს სისტემა. მართალია. მან გუბერნატორობა წარუმატებლად დაასრულა, მაგრამ მისთვის ბოლომდე წარუმატებელი მაინც არ ყოფილა, რადგან პოპულარობა, რომლითაც დღეს სარგებლობს, სწორედ ოდესის გუბერნატორობით მოიპოვა, სწორედ ამ დროს გააცნო უკრაინელ ხალხს თავისი თავი.

პოლიტიკურად ერთი მთავარი რამ შეძლო სააკაშვილმა: დასავლეთის თვალში ის არის კორუფციასთან დაუძინებლად მებრძოლი. პოსტსაბჭოური სისტემის ყველაზე საშიში გადმონაშთი არის კორუფცია და ნეპოტიზმი. მეორე, უკრაინის თვალში სააკაშვილი არის ნომერ პირველი მებრძოლი რუსეთის წინააღმდეგ. უკრაინელები პოროშენკოს რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლად არც აღიქვამენ, მეტიც, მთელ რუსეთს შოკოლადით კვებავო, აძახებენ.

– ბევრი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ კი აქვს საქართველოს ექსტრადირების მოთხოვნა გაგ ზავნილი, მაგრამ გადმოცემა არაფერში აწყობს ჩვენს ხელისუფლებას. ეთანხმებით?

– მე არ გამოვრიცხავ, რომ პოროშენკომ მაინც მოიშოროს ეს თავის ტკივილი და თქვას, მე საქართველოს ხელისუფლებამ მომცა პირობა, რომ არ იქნება პოლიტიკური სასამართლო. გარდა ამისა, პოროშენკოს შეუძლია ევროპას უთხრას, საქართველო თქვენი კლიენტია, ევროკავშირში, ნატოში შესვლა უნდა, მოსთხოვეთ, რომ სამართლიანი სასამართლო ჩატარდეს და არა – პოლიტიკური.

წარმოიდგინეთ, თუ ეს სასამართლო შედგა, როგორი სასამართლო იქნება. შეიძლება ეს იყოს საქართველოს მასშტაბისთვის საუკუნის სასამართლო. ამ დონის პოლიტიკური პიროვნება საქართველოში არ გასამართლებულა, თქვენ წარმოიდგინეთ, საბჭოთა კავშირის დროსაც კი. ეს ნიშნავს, რომ 20-30 ქვეყნის 100 ჟურნალისტი და ტელეკამერა ჩამოვა და გააშუქებს ამ პროცესს და რა, ხელისუფლება ციანიდის საქმესავით დახურავს ამ სასამართლოს?! ვერ დახურავს.

37 წელს ეს უფლება სტალინმაც კი ვერ გამოიყენა. კავშირის სვეტებიან დარბაზში ღია სასამართლო იყო. როგორი იყო ეს სასამართლო, გასაგებია, მაგრამ ფორმალურად ღია იყო. ამაზე ამერიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში დევისმა დოკუმენტური ფილმი გადაიღო საკუთარი თანხით. დევისი მილიონერი ბანკირი იყო და ეს ფული არ დაენანა, მაგრამ მოტყუვდა, ამ ფილმში ამ ღია სასამართლოზე აკეთებდა აქცენტს, რომელიც ჯერ ამერიკაში უჩვენა, შემდეგ – კრემლში.

ამიტომ ვამბობ, რომ ძალიან რთული პროცესია, რისკებთან არის დაკავშირებული. რამდენად გაუმკლავდება ჩვენი ხელისუფლება ამ რისკებს, რთული სათქმელია.

– სააკაშვილი არ ფიქრობს საქართველოში დაბრუნებაზე? პოროშენკომ თქვა, ასეთი ძალით საკუთარი სამშობლოს საზღვარი გაარღვიოსო.

– ჯერ არ ფიქრობს, ის ელოდება, საქართველოში როდის მიაღწევს სოციალური დუღილი თავის პიკს – როგორი იქნება ლარის ბედი, ტარიფები, პლუს პოლიტიკური ვითარება. ამ ყველაფერს ის უკრაინიდან ელოდება.

სოსო ოხანაშვილი: „პატრიარქის სახლში შორენა თეთრუაშვილი და გიორგი ანდრიაძე ტერორიზმში ბრალდებულ პირებს მალავდნენ“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

თან მანამდე არ უსაუბრია. საგამოძიებო ორგანოებში უშუალოდ მამა გიორგიზე ეკითხებოდნენ. თანამზრახველობისკენ მიჰყავდათ საქმე, – ამბობს ადვოკატი.

მიხეილ რამიშვილის განმარტებით, სასამართლოზე ოხანაშვილმა ძალიან საინტერესო ჩვენება მისცა. არ გამორიცხავს, რომ ამ ჩვენების საფუძველზე კიდევ რამდენიმე სკანდალი აგორდეს.

– სასამართლოში ორსაათიანი დაკითხვისას გარკვეულმა გარემოებებმა იჩინა თავი. დაისვა კითხვები, არსებობდა თუ არა დაპირისპირება საპატრიარქოში, ვინ რითი იყო დაკავებული. შესაბამისად, ამ კაცმა ბევრი რამე იცოდა.

ოხანაშვილი არ იყო მხოლოდ პატრიარქის პირადი დაცვა. მას საკმაოდ საინტერესო თემებზე ჰქონდა საუბარი. დეტალებს ვერ მოვყვები. არც ის მინდა, პროკურატურასავით მოვიქცე, ნაგლეჯ-ნაგლეჯ რომ გაავრცელეს სამხილები.

ისეთ თემებს ეხება ოხანაშვილი, რომ ძალიან ბევრი ახალი საქმე შეიძლება აგორდეს. საუბარია ფინანსურ საქმეებზე, რასაც შეეწირა გიორგი მამალაძე, – აღნიშნა რამიშვილმა.

მისივე განცხადებით, სკანდალი, სასულიერო პირების გარდა, საერო პირებსაც შეეხება:

– პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსის ჩვენების თანახმად, ანომალიურ და კატასტროფულ ფინანსურ დარღვევებთან გვაქვს საქმე. აქ სასულიერო პირებთან ერთად საერო პირებიც ფიგურირებენ. ანგარება აქ არის, თუ არის.

* * *

სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა მიიჩნევს, რომ ადვოკატებს ეს ინფორმაცია მაშინვე უნდა გაესაჯაროებინათ. მისივე თქმით, პროკურატურას ოხანაშვილის განცხადებაზე მაშინვე უნდა დაეწყო გამოძიება.

– მართალია, ციანიდის საქმე საზოგადოებისთვის დაიხურა, მაგრამ მას ესწრებოდნენ პროკურორები. მათ მაშინვე უნდა აღეძრათ საქმე, როგორც კი ოხანაშვილმა ეს სკანდალური ინფორმაცია გააჟღერა.

საინტერესოა, დაიწყეს თუ არა მათ ამ საქმის გამოძიება. ეჭვი მეპარება, რომ გამოძიება დაიწყეს, მაგრამ თეორიულად ყველაფრის შანსი არსებობს. საინტერესო იქნება იმის გაგებაც, როდის დაიწყეს გამოძიება, როცა ამბავი გახმაურდა, თუ როცა ოხანაშვილის ჩვენება მოისმინეს, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში კუპრავა.

მისი თქმით, პროკურატურას თუ გამოძიება დაწყებული არ აქვს, ეს საქმის პოლიტიზირებულობაზე მიუთითებს.

– კიდევ ერთხელ გახდება ნათელი, რომ საქმეში პროკურატურის და უშიშროების ხელით სახელმწიფოა ჩართული. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მამა გიორგი მაფიოზური კლანების ინტერესთა კონფლიქტს შეეწირა, – აღნიშნავს სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი.

მისი განმარტებით, თუ აღმოჩნდება, რომ გამოძიება დაწყებულია, მაშინ პროკურატურის მიმართ ამის გამო პრეტენზიები არ უნდა გვქონდეს.

მას პროკურატურასთან სხვა პრეტენზიები აქვს. აინტერესებს, თუ რატომ არ მოიძებნა აქამდე პირი, რომლისგანაც, ბრალდების მხარის მტკიცებით, მამა გიორგიმ ციანიდი შეიძინა.

– დარწმუნებული ვარ, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძეს ციანიდი არ შეუძენია, მაგრამ ვთქვათ და შეიძინა, მაშინ სად არის გამყიდველი? რატომ არ პოულობენ? გამოდის, რომ საქართველოში თავისუფლად დადის პიროვნება, რომელსაც ციანიდზე მიუწვდება ხელი. ასეთმა ადამიანმა ხვალ შეიძლება რადიოაქტიური ნივთიერებაც გაასაღოს, – ამბობს ზვიად კუპრავა.

მისი თქმით, ამ საქმეში ძალიან ბევრი კითხვა არსებობს. კითხვები მას ადვოკატებთანაც აქვს. ამბობს, რომ აქამდე ადვოკატების კრიტიკას ერიდებოდა, რადგანაც მიაჩნდა, რომ ეს დაცვის მხარის სტრატეგია იყო. ახლა კი აცხადებს, რომ გაუთქმელობის ხელწერილზე ხელის მოწერა საეჭვო იყო. მისი აზრით, თუნდაც ახლახან გაჟღერებული ინფორმაციით შეიძლებოდა საქმეში რაღაცის შეცვლა მამა გიორგის სასარგებლოდ.

მამა გიორგის ჰყავს რამდენიმე ადვოკატი. რამდენიმე მათგანს პროკურატურამ ხელი მოაწერინა გაუთქმელობის ხელწერილზე. პროკურატურამ შესაძლოა ბევრი რამე მოითხოვოს, მაგრამ ყველაფერს კი არ უნდა დაეთანხმონ.

– მამა გიორგის ჰყავს რამდენიმე ადვოკატი. რამდენიმე მათგანს პროკურატურამ ხელი მოაწერინა გაუთქმელობის ხელწერილზე. პროკურატურამ შესაძლოა ბევრი რამე მოითხოვოს, მაგრამ ყველაფერს კი არ უნდა დაეთანხმონ.

დაცვის მხარეს თავისუფლად შეეძლო, არ მოეწერა ხელი გაუთქმელობაზე, რადგანაც საქმეს არ ედო გრიფით საიდუმლო. საქმეს თუ გრიფი არ ადევს, ადვოკატი გაუთქმელობას არ უნდა დათანხმდეს. რადგან მათ ეს გააკეთეს, მე გამიჩნდა კითხვები დაცვის მხარესთან. ისინი არიან მამა გიორგის ადვოკატები და პირველ რიგში მისი უფლებები უნდა დაეცვათ. დაიცვეს ამით დეკანოზის ინტერესები? რა თქმა უნდა, არა. დეკანოზის ერთადერთი ხსნა იყო ამ თემის საჯაროობა, – ამბობს ზვიად კუპრავა.

მას კითხვები აქვს იმ ადვოკატებთანაც, ვინც გაუთქმელობაზე არ მოაწერა ხელი.

– პროკურატურის მოთხოვნას რამდენიმე ადვოკატი არ დათანხმდა. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ გაასაჯაროვეს მათ საქმის დეტალები. მე საქმეში არსებულ ინფორმაციებზე მაქვს საუბარი. ამ ინფორმაციების გასაჯაროება იყო გზა და შანსი დეკანოზის გამართლებისა.

მამა გიორგის მთავარი ბრალი იყო შორენას მკვლელობის მცდელობა. გამოძიების ეტაპზე ოხანაშვილისგან ცნობილი გახდა თეთრუაშვილის დანაშაულებების შესახებ. ეს დაცვის მხარისთვის უნდა ყოფილიყო ხელმოსაკიდი, რომ შორენა თავად არის დამნაშავე.

პატრიარქის მდივან-რეფერანტმა ამ საქმეზე მოწმის სახით მისცა ჩვენება. მოწმე, რომლის დანაშაულიც იკვეთება, ბუნებრივია, არ იქნება გულწრფელი, – მიიჩნევს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

მისი აზრით, სავსებით შესაძლებელია, მამა გიორგიმ იცოდა, რომ შორენამ ტერორიზმში ეჭვმიტანილები პატრიარქის სახლში დამალა.

– არაა გამორიცხული, რომ შორენა მას

თამარ ჩხეიძე: „უკრაინაში წარმატება სააკაშვილის პოპულარობას საქართველოშიც გაზრდის“

„ავტორიტარიზმისკენ საქართველოს ყველა ხელისუფლება იყო მიდრეკილი“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა" ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.

– ბოლო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თითქმის ყველა ამბობს, რომ პოლიტიკური სპექტრი საგრძნობლად გაღარიბდა. თბილისის მერის პოსტზე 9 კანდიდატი იყრის კენჭს. აქედან 8 პოლიტიკური ძალების წარმომადგენელია. გამოდის, რომ პოლიტიკური ველი ცარიელი არ ყოფილა?

– არასდროს ჩამითვლია, რომ პოლიტიკური ველი დაცარიელდა. არც ერთი პარტია არ წასულა პოლიტიკიდან. ერთი მრავალრიცხოვანი ძალა ბოლო დროს ორად გაიყო. ადგილობრივი არჩევნებისთვის საკმარისი რაოდენობით ძალები ემზადებიან. მერის თანამდებობაზე წარმოყენებული კანდიდატების რაოდენობაც არ არის უჩვეულო. ჩვენთან პრეზიდენტისა და დედაქალაქის მერის არჩევნებში ყოველთვის ბევრი პირი მონაწილეობდა. ეს არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია.

– რითია მნიშვნელოვანი ეს არჩევნები?

– აქ გამოჩნდება, ვის რა შეუძლია და შეიცვალა თუ არა რაიმე რეალურად. 21 ოქტომბრის არჩევნებზე გამოაშკარავდება, ისევ სრულად აკონტროლებს თუ არა ხელისუფლება ყველაფერს თუ რომელიმე პარტიას ამა თუ იმ რეგიონში გამარჯვებით სიახლე შემოაქვს პოლიტიკაში.

– მიუხედავად იმისა, რომ „ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობა აპირებს საკონსტიტუციო ცვლილებები მესამე მოსმენით მიიღოს, ოპოზიციური პარტიები პრეზიდენტთან ერთად შეთანხმდნენ ხუთ საკითხზე, რომელიც კონსტიტუციაში უნდა აისახოს. აქვს აზრი ბრძოლის გაგრძელებას?

– კონსტიტუცია თანხმობის შედეგი უნდა იყოს, თუმცა, ამ შეხვედრების გაგრძელებაში დიდ აზრს ვერ ვხედავ. ხელისუფლებამ გაგვაგებინა, რომ ამ ეტაპზე დათმობას არ აპირებს. ალბათ, არჩევნებამდე „ქართული ოცნება“ მესამე მოსმენითაც მიიღებს ამ შეუთანხმებელ კონსტიტუციას. საქართველოს საზოგადოება რომ ბრძოლისუნარიანი იყოს, ამას ვერ გაბედავდა და შიდა ზეწოლითა და საგარეო რეკომენდაციების შედეგად ვითარება შეიცვლებოდა. ჯერჯერობით, „ოცნებას“ ხალხის მასობრივი გამოსვლები არ აშინებს და ის კონსტიტუციას თავის ნებაზე მიიღებს.

– საკონსტიტუციო რეფორმისა და სხვა თემების გამო გახშირდა ოპონენტების განცხადებები იმაზე, რომ „ოცნება“ ავტორიტარიზმის გზას დაადგა. ზოგიერთი დიქტატურაზე ალაპარაკდა.

– ავტორიტარიზმისაკენ პოსტსაბჭოთა საქართველოს ყველა ხელისუფლება იყო მიდრეკილი. გამონაკლისი არც ახლანდელი ხელისუფლებაა. ავტორიტარიზმის ნიშნები აშკარაა, ტოტალიტარიზმის დამყარება კი ფაქტობრივად შეუძლებელია. ყველაზე მეტად იკვეთება, რომ ხელისუფლება ახორციელებს პოლიტიკურ დევნას.

– რას გულისხმობთ?

– ხელისუფლების შეცვლამ არ უნდა გამოიწვიოს წინა ხელისუფლების მომხრეების შევიწროება. პარტიული ნიშნით ხალხს სამსახურებიდან არ უნდა ათავისუფლებდნენ. როცა ოპონენტის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნაა, ის პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. არათავისიანებს პოლიტიკურად დევნიან და ამას ეძლევა სამართლებრივი ფორმა.

აქ სამართლებრივი მხარე მთავარი არ არის. წინა ხელისუფლებას ჰქონდა დარღვევები, შეცდომები, მაგრამ აშკარად პოლიტიკური დევნა მასობრივად არ ყოფილა. მაშინდელი პოლიტიკური დევნის მაგალითებად შემიძლია დავასახელო ირაკლი ბათიაშვილისა და თემურ ჟორჟოლიანის ციხეში ჩასმა. ისინი სააკაშვილის დროის პოლიტპატიმრები იყვნენ. სხვა შემთხვევებში ეს ასე გამოკვეთილი არ იყო.

– ნაცმოძრაობის აქტივი სააკაშვილის დევნის შეჩერებასაც მოითხოვს.

– ეს სწორი მოთხოვნაა. სააკაშვილს პოლიტიკურად დევნიან. მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები ხშირად აბსურდულია, პიჯაკების ყიდვითა და ცნობილი მოღვაწეების საფლავებზე გვირგვინების შეძენით დაწყებული, იუშჩენკოს ვიზიტის ხარჯებით დამთავრებული.

– რადგან სააკაშვილზე ვსაუბრობთ, რას ფიქრობთ მის შესაძლო გეგმებზე საქართველოს მიმართ? იგი კიევში შესვლას აპირებს. ეს აისახება სიტუაციაზე საქართველოში?

– ყველაფერი დამოკიდებულია პოლიტიკურ შედეგზე, რომელსაც ის აჩვენებს თავისი საქმიანობით. არ ვიცი, ამჯერად აქვს თუ არა სააკაშვილს მხარდაჭერა გარედან. თუ ასეთი მხარდაჭერა არსებობს, მაშინ მისი წარმატება რეალურია. უკრაინის პოლიტიკაში წარმატების შემთხვევაში, მისი პოპულარობა საქართველოშიც გაიზრდება.

პატრიოტთა ალიანსმა პარლამენტთან შიმშილობა დაიწყო

ადა მარშანია მოსკოვში წასასვლელად ემზადება

შორენა მარსაგიშვილი

პატიოტთა ალიანსის 17 წევრმა თბილისის პარლამენტის შენობის წინ გუშინ შიმშილობა დაიწყო. შიმშილობის დაწყებამდე მათ სხვა ალიანსელებთან ერთად საპატრიოტო მსვლელობაში მიიღეს მონაწილეობა.

საპროტესტო აქცია-მსვლელობა ვარდების მოედნიდან პარლამენტის მიმართულებით მოეწყო. პატრიოტთა მსვლელობის გამო რუსთაველის გამზირზე მოძრაობა რამდენიმე საათით დაიკეტა.

პატრიოტთა ალიანსს რამდენიმე მოთხოვნა აქვს. მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ისინი მძლავრი საპროტესტო ტალღით იმუქრებიან.

ალიანსი ითხოვს: საქართველოს კონსტიტუციაში მკაფიოდ ჩაიწეროს, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა. მათი აზრით, კონსტიტუციაში ასევე უნდა ჩაიწეროს, რომ ახალგაზრდა თაობაში ეროვნული ცნობიერებისა და ქართული აზროვნების ჩამოყალიბება სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულებაა.

კონსტიტუციასთან დაკავშირებით სხვა მოთხოვნაც არის: უნდა აღდგეს ჩანაწერი, რომლის თანახმადაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვა თითოეული მოქალაქის ვალდებულებაა.

მათივე მოთხოვნით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არც მფლობელი და არც დამქირავებელი არ შეიძლება იყოს უცხოელი. ითხოვენ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმებას. უნდათ რომ შეიქმნას სახელმწიფო კომისია, რომელიც დაიწყებს მუშაობას ახალი პოლიტიკური ფორმატის „საქართველო-ნატო-რუსეთის“ ამოქმედებაზე. ითხოვენ პირდაპირი დიალოგის დაწყებას სოხუმთან, ცხინვალთან და მოსკოვთან.

მოთხოვნები აქვთ ბანკების მიმართულებითაც. ითხოვენ საბანკო გადასახადების მარეგულირებელი კომისიის შექმნას. რომელიც დაარეგულირებს არა უბრალოდ საბანკო კრედიტის პროცენტის მოცულობას, არამედ ჯამში ყველა საბანკო გადასახადს.

17 სექტემბრის აქციამ მშვიდობიანად ჩაიარა. პატრიოტებმა ხელისუფლების მიმართ თავისი უკმაყოფილება დააფიქსირეს და დაიშალნენ. პარლამენტთან 17 მოშიმშილე დარჩა.

პარტიის ლიდერის, დავით თარხან-მოურავის, განცხადებით, შემდეგი აქცია 24 სექტემბერს ბათუმში გაიმართება.

მისივე თქმით, აქციის მონაწილეები მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მთავრობის გადაყენების მოთხოვნას დააყენებენ.

ალიანსი საგარეო ფრონტზეც აპირებს აქტიურობას.

პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, დეპუტატმა ადა მარშანიამ, განაცხადა, რომ

ოქტომბრის დასაწყისში მოსკოვში გაემგზავრებიან.

– მთავარი ამოცანა და მიზანი არის ჩვენი ქვეყნის გამთლიანება. ოქტომბრის პირველ რიცხვებში ისევ მივემგზავრებით მოსკოვში მოლაპარაკებებზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოლაპარაკებების გარეშე აფხაზებთან, ოსებთან და რუსებთან ჩვენ ქვეყანას ვერ გავამთლიანებთ, – აღნიშნა დეპუტატმა.

რამდენიმე თვის წინ მათი დელეგაცია უკვე იმყოფებოდა მოსკოვში. მათ დუმაში რამდენიმე შეხვედრა გამართეს და, როგორც თავად განაცხადეს, ყინული დაძრეს.

დავით უსუფაშვილი: „პრეზიდენტის აქტიურობა მნიშვნელოვანია“

პარლამენტის ყოფილი სპიკერი საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით პრეზიდენტისა და ოპოზიციის ერთიანი ხედვის შემუშავებას გამოეხმაურა.

დავით უსუფაშვილის განცხადებით, ოპოზიციის პოზიცია მთავარ კანონთან დაკავშირებით მართებულია, თუმცა მიიჩნევს, რომ „მისი რეალიზების და განხორციელების შანსები პრაქტიკულად ამოწურულია“.

ამასთან, უსუფაშვილის თქმით, პრეზიდენტის აქტიურობა მნიშვნელოვანია, თუმცა საეჭვოა, უმრავლესობა შეჯერდეს იმ წინადადებებზე, რასაც „როგორც ჩანს, პრეზიდენტის ვეტოში უნდა ველოდოთ“.

– შთაბეჭდილება მრჩება, რომ საკონსტიტუციო პროცესში მონაწილე მხარეებს, უკვე იმედი აღარ აქვთ, რომ შესაძლოა რაიმე შეიცვალოს. ამიტომ, ძირითადად გრძელდება იმ პოზიციების კიდევ ერთხელ საზოგადოებისთვის გაცნობა, რაც დიდი ხანია ცნობილია. მე ვთვლი, რომ ოპოზიციური პოლიტიკური ძალების პოზიციები კონსტიტუციასთან დაკავშირებით არის სწორი, მაგრამ მისი რეალიზების და განხორციელების შანსები პრაქტიკულად ამოწურულია, ვინაიდან, მმართველმა გუნდმა საკუთარი თავი ჩიხში შეიყვანა და ახლა მათ საკითხი ასე უდგათ – დათანხმდნენ გონივრულ წინადადებებს და ამით საკუთარი თავი დააყენონ სერიოზული დარტყმის ქვეშ, შესაძლო დაშლის საფრთხის ქვეშ, თუ პრინციპულად და ჯიუტად გააგრძელონ სვლა არასწორი მიმართულებით და ამით, საკუთარი ერთიანობა მაინც შეინარჩუნონ. ეს საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აყენებს მმართველ გუნდს.

სამწუხაროდ, მათ თავიანთი არასწორი ნაბიჯებით ჩაიყენეს საკუთარი თავი ამ პოზიციაში და ამ ვითარებამდე ქვეყანაც მიიყვანეს. ამიტომ პრეზიდენტის აქტიურობა ამ მიმართულებით, ცხადია, მნიშვნელოვანია, მაგრამ ვეჭვობ, რომ უმრავლესობამ სწორედ იმ წინადადებებზე შეძლოს შეჯერება, რასაც, როგორც ჩანს, უნდა ველოდოთ პრეზიდენტის ვეტოში, რომელშიც ყველა ეს მოსაზრება აისახება. შექმნილ ვითარებაში, არ მგონია, რომ სწორი იყოს, იმ გზით სიარული, რომელიც კომპრომისამდე მისვლის გზას და საშუალებას არ ტოვებს, ამიტომ „შენების მოძრაობამ“, როგორც განაცხადა, ვართ აქტიური მუშაობის პროცესში და იქნებ, მოხერხდეს მომავალი დისკუსიების და კონსულტაციების შენარჩუნების საშუალება, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ შემდგომი პროცესებისთვის დისკუსიების და კონსულტაციების შენარჩუნება მნიშვნელოვანია.

– იქნებ მოხერხდეს ამ შესაძლებლობის არ მოსპობა შემდგომი პროცესებისთვის. იმიტომ, რომ თუ პოლიტიკური პროცესი საპარლამენტო არჩევნებამდე სამი წლით ადრე უკვე ჩაიკეტა, ეს ძალიან სავალალო შედეგებს მოუტანს ჩვენს ქვეყანას, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

ირაკლი კობახიძემ თურქმენეთში შეხვედრები გამართა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით თურქმენეთში იმყოფებოდა. პარლამენტის ინფორმაციით, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე თურქმენეთის მეჯლისის თავმჯდომარეს, აკჯა ნურბერდიევას შეხვდა. მხარეებმა ორმხრივი ურთიერთობის შესახებ ისაუბრეს.

მათი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და თურქმენეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა 25 წლის წინ დამყარდა, ხალხებს შორის კავშირი გაცილებით ხანგრძლივ, ისტორიულ პერიოდს ითვლის. აკჯა ნურბერდიევას თქმით, თურქმენეთში კარგად იცნობენ საქართველოს ისტორიასა და კულტურას.

შეხვედრაზე ორმხრივი ურთიერთობების სხვადასხვა მიმართულებით გაღრმავების შესახებ საუბრისას, ხაზგასმით აღინიშნა მაღალი დონის გაცვლითი ვიზიტების მნიშვნელობა. მხარეების თქმით, ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თურქმენეთში საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის ვიზიტი, რომელიც მიმდინარე წლის აგვისტოში შედგა..

აჯკა ნურბერდიევამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს მიმდინარე რეფორმებისა და ქვეყნის განვითარების პრიორიტეტების შესახებ ისაუბრა. აკჯა ნურბერდიევა დაინტერესდა საქართველოს განათლების სისტემითაც.

მხარეებმა საპარლამენტთაშორისო ურთიერთობის შესახებ ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, აქტიურად იმუშავებენ საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფები. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ თურქმენეთის მეჯლისის თავმჯდომარეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. შეხვედრას თურქმენეთის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი, კახა ოქრიაშვილი და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი, ნიკოლოზ სამხარაძე, ხოლო თურქმენეთის მხრიდან – მეჯლისის თავმჯდომარის მოადგილე გულშატ მამედოვა და მეჯლისის ყველა კომიტეტის თავმჯდომარე ესწრებოდა.

ინტერპრესნიუსი

მამუკა ტუსკაძე: „ქადაგიძეს, შალიკაშვილს და მესტვირიშვილს პროკურატურაში ვუჩივლებთ“

გულიკო ბალაძე

პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე ორშაბათს მთავარ პროკურატურას ეროვნული ბანკის წინა პრეზიდენტის ქადაგიძისა და ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შალიკაშვილისა და მესტვირიშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით მიმართავს.

– დავაარსე საზოგადოებრივი მოძრაობა „პატრიოტები სოციალური სამართლიანობისათვის“ და ვიწყებ ბრძოლას სოციალური სამართლიანობისთვის. ბევრ სფეროში გვყავს დაზარალებული. არიან როგორც ხანძრების შედეგად, ისე ბანკების შედეგად (მაგალითად, არიან საფინანსო კომპანია „საქართველოს“ დაზარალებულები), სამშენებლო ბიზნესის, იპოთეკური სესხების გამო დაზარალებულები. არიან ადამიანები, რომლებსაც სოციალური დახმარება ჰქონდათ და მოუხსნეს. არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი ამ პრობლემების მოსაგვარებლად. შევეცდებით ყველანაირი სამართლებრივი საფუძველი შევქმნათ, რომ ამ ადამიანებმა შვება იგრძნონ, – აცხადებს მამუკა ტუსკაძე.

– როგორ დაეხმარებით დაზარალებულებს?

– პარლამენტისა და საკრებულოს მეშვეობით შევეცდებით საკანონმდებლო ბაზის შექმნას. ვიბრძოლებთ პოლიტიკურადაც. ხელისუფლებამ კანონი უნდა მიიღოს, რომლის საფუძველზეც უნდა მოგვარდეს მეანაბრეებისა და სხვადასხვა სფეროში დაზარალებულების პრობლემები.

– კანონები არ არის?

– არ არის. პირველ რიგში საკანონმდებლო ბაზაა საჭირო. ჩვენს საპარლამენტო ჯგუფსაც აქვს მუშაობა დაწყებული.

– რატომ გადაწყვიტეთ მაინცდამაინც სოციალურ საკითხებზე ორიენტირებული არასამთავრობოს შექმნა, ხელისუფლება ხალხზე არ ზრუნავს?

– არ ზრუნავს ისე, როგორც სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. დღეს ადამიანებს სწორედ სოციალური სამართლიანობა სჭირდებათ, რომ ამ ქვეყანაში თავი კომფორტულად იგრძნონ. ამის უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალია.

– სახელმწიფო ამას ვერ აკეთებს?

– სახელმწიფო რომ ვერ ქმნის სამართლიან და დაცულ გარემოს, ამიტომ გადავწყვიტე შევთავაზო საზოგადოებას ამ პრობლემის მოგვარების ჩემეული ხედვა. სხვადასხვა სფეროში დაზარალებულებს აღვნუსხავთ, აღვნუსხავთ ზარალს, დავადგენთ, რა ზარალი მიიღო მოსახლეობამ და რა მეთოდებითა და გზებით შეიძლება მისი აღმოფხვრა.

– რა გზებით აპირებთ ბრძოლას?

– სამართლებრივი გზით, სამოქალაქო აქტივობით, პოლიტიკური გზებით.

– აქციებსაც გულისხმობთ?

– დიახ, აუცილებლად ვიაქტიურებთ.

– ხელისუფლებას ხომ აქვს გეგმები და ცდილობს სოციალური საკითხების მოგვარებას?

– ხელისუფლების გეგმები გეგმებად რჩება, რეალურად, საზოგადოებას არაფერს სთავაზობს. ხელისუფლება დაკავებულია იმით, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მანიპულაციები ჩაატაროს.

– საქართველოს რესურსების პირობებში რამდენად არის შესაძლებელი სოციალური პრობლემების მაქსიმალური მოგვარება?

– 3 მილიონზე ცოტა მეტი ვართ. 3 მილიონი ადამიანის რჩენა, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა ჩვენი სახელმწიფოსთვის შესაძლებელია. მთავარია, ნება იყოს. ქვეყანას ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი და საკმარისი ბუნებრივი რესურსები აქვს, მაგრამ ბოლომდე არ არის ათვისებული და სახელმწიფო არც აპირებს მის ბოლომდე ათვისებას.

– რატომ? ტურიზმთან დაკავშირებით დიდი ხმაურია. ხელისუფლება ცდილობს ტურიზმის განვითარებას.

– მხოლოდ ხმაურია. მოქალაქეებისთვის ხელშეწყობა არ ხდება. არ აფინანსებენ სტარტაპებს ტურიზმის განსავითარებლად. თუ ადამიანს ბიზნესი აწყობილი აქვს, მას სახელმწიფოს მხარდაჭერა არ სჭირდება. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანებს, რომ ბიზნესებიააწყონ.

– სოციალური პრობლემების მოუგვარებლობის მიზეზი ისიც ხომ არის, ბიზნესმენების საშუალო ფენა რომ არ გვყავს და მცირე ბიზნესი სწრაფი ტემპით რომ ვერ ვითარდება?

– სწორედ ასეა. ქვეყანაში უნდა შეიქმნას საშუალო ფენა და ადამიანებმა თავი უნდა იგრძნონ ამ ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქეებად.

– ამ ეტაპზე რამდენი სოციალურად დაუცველი გვყავს?

– ქვეყანაში 900 ათასამდე სოციალურად დაუცველი გვყავს. აქედან 400 ათასი თბილისშია. სახელმწიფომ 100 ათას ადამიანს დახმარება მოუხსნა. ამ 100 ათასიდან 99 ათას 999-ს მართლა მძიმე მდგომარეობა აქვს.

– ასეთი რამ შეგნებულად ხომ არ ხდება? ძველი კადრებიც ხომ არის დარჩენილი.

– შესაძლებელია, ვიღაც ამას შეგნებულად აკეთებს. თუმცა, არსებობს დებულება, რომლის მიხედვითაც პირს სოციალური დახმარებისთვის ქულები უნდა დაუანგარიშდეს. ქულების დასაანგარიშებლად ისეთი ფორმულებია დებულებაში, რომ აინშტაინსაც შეშურდება. ქულათა დათვლის სისტემა არასწორია და მის შეცვლას არავინ აპირებს.

– დაზარალებულების უფლებების დასაცავად, ზარალის ასანაზღაურებლად საკანონმდებლო ბაზა საერთოდ არ არსებობს თუ შესწორებებია შესატანი?

– კანონმდებლობა რომ არსებობდეს, არც სოციალურად დაუცველების პრობლემები იქნებოდა, არც – იპოთეკური სესხებით დაზარალებულების.

– ბოლო დროს ხანძრების შედეგად დაზარალებულებიც გაჩნდნენ.

– არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმი, რომ მათ ზიანი აუნაზღაურდეთ. კანონი დაარღვიეს, როდესაც „ბავშვთა სამყაროს“ დაზარალებულებს 3-3 ათასი ლარი დაურიგეს. როგორ უნდა გასულიყო აღნიშნული თანხა ბიუჯეტიდან, სამართლებრივი გზა, საკანონმდებლო ბაზა არ არსებობდა და არ არსებობს, რადგან ჩვენი სახელმწიფო არ ზრუნავს სოციალურად დაზარალებულებზე.

– დაზარალებული მეანაბრეების პრობლემების მოგვარების პერსპექტივაც არ ჩანს.

– ქვეყანაში რამდენიმე კატეგორიის მეანაბრეა დაზარალებული. ერთი – კომუნისტების დროინდელი, მეორე – გასული საუკუნის 90-იანი წლების, მესამე – სახელმწიფომ ახლა რომ შექმნა დაზარალებულ მეანაბრეთა კასტა. ამ პრობლემის მოსაგვარებლადაც საჭიროა საკანონმდებლო ბაზა. პატრიოტთა ალიანსს აქვს კანონპროექტი შეტანილი, მაგრამ რადგან უმცირესობაშია, ჭირს გატანა. ამიტომ ჩვენ უნდა ვიაქტიუროთ. საჭიროა 30 ათასი ხელმოწერა და პარლამენტს კანონპროექტს წარვუდგენთ.

– მეანაბრეთა არმიას საფინანსო კომპანია „საქართველოს“ დაზარალებულების პრობლემებიც დაემატა.

– როგორც იურისტი და ადვოკატი, ამ საქმეს კარგად ვიცნობ. ისინი სახელმწიფოსა და ბიზნესმენის არაჯანსაღად მუშაობით დაზარალდნენ.

– სახელმწიფოც იყო ჩარეული?

– დიახ, ბიზნესმენისა და სახელმწიფოს შეთანხმებული მოქმედებით დაზარალდნენ. ორმა მონსტრმა, ბიზნესმა და სახელმწიფომ, ჩაყლაპა 2.300-ზე მეტი ადამიანის ქონება. დღეს კი გვეუბნებიან, რომ იმ ფულის დაბრუნების სამართლებრივი ბერკეტები არ არსებობს. არც კანონის შეცვლა უნდათ.

პარლამენტის სხდომაზე დააყენეს საკითხი, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გავიყვანოთ მოსამართლეებისა და პარლამენტის წევრების რანგში, რომელთა დაჭერა არ შეიძლება განსაკუთრებული შემთხვევების გარდა.

– ეს რა პრობლემას ქმნის?

– მათ არ უნდათ, ზოგიერთი პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. ამის გამო ჩვენ ვაგროვებთ ხელმოწერებს და ორშაბათს მთავარ პროკურატურაში შეგვაქვს საჩივარი, რომ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყოს ეროვნული ბანკის იმ თანამშრომლების მიმართ, ვისაც დანაშაული აქვთ ჩადენილი.

– კერძოდ, ვის მიმართ ითხოვთ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას?

– მათ მიმართ მოვითხოვთ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას, ვინც მონაწილეობა მიიღო 2.300 კაცის ცხოვრების პირობების უარესობისკენ შეცვლაში. ესენი არიან ეროვნული ბანკის წინა პრეზიდენტი ქადაგიძე, ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შალიკაშვილი და მესტვირიშვილი.

გვპირდებიან, რომ ამ საკითხზე უწყებათაშორისი კომისია შეიქმნება და იმუშავებს ამ კუთხით საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე. მუშაობა ჯერ არ დაწყებულა, არჩევნებს იმიზეზებენ.

იპოთეკური სესხებით დაზარალებულების უმრავლესობამ იპოთეკაში ფული ჩადო ოჯახის წევრის ციხიდან დასახსნელად. ადამიანების უმეტესობას იმიტომ იჭერდნენ, რომ ბიუჯეტში ფული შეეტანინებინათ. მხოლოდ 2010-13 წლებში ბიუჯეტში პრობაციონერებისა და ბრალდებულებისგან მილიარდ ლარამდე შევიდა. ჩვენი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევებით, იპოთეკით დაზარალებულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ პატიმრის დასახსნელად აიღო ფული, ნაწილმა ჯანმრთელობის გაუარესების გამო ან განათლების გულისთვის ჩადო ბინა იპოთეკაში და შემდეგ ვერ მოახერხა გასტუმრება. მათზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს.

ბულაჩაურის ქუჩიდან მიროტაძის ქუჩამდე ველობილიკი ეწყობა

თბილისის მერი დავით ნარმანია პეკინის ქუჩაზე ველობილიკის მოწყობის სამუშაოებს გაეცნო.

კერძოდ, ბულაჩაურის ქუჩიდან მიროტაძის ქუჩამდე, 1 კმ-იანი, 2,80 მეტრის სიგანის ველობილიკი კეთდება. ველობილიკზე ორმხრივი მოძრაობა იქნება შესაძლებელი. თბილისის მერიის ტრანსპორტის სამსახური იქ შესაბამის ნიშნებს განათავსებს.

დედაქალაქის მერის განცხადებით, თბილისში ასეთი თანამედროვე და მოწესრიგებული ფორმით ველობილიკი პირველად კეთდება.

– დღეს იგება ველობილიკი და ამით პრაქტიკულად სრულდება პეკინის გამზირზე მიმდინარე სამუშაოები. მნიშვნელოვანია ის, რომ თბილისში პირველად კეთდება ასეთი ევროპული, თანამედროვე და მოწესრიგებული ფორმით საველოსიპედო ბილიკი. ტროტუარი გაფართოვდა და მაქსიმალური კომფორტი იქნება იმისათვის, რომ როგორც ველოსიპედით მოსიარულეებმა, ასევე ფეხით მოსიარულეებმა თავი იგრძნონ თავისუფლად, თან ეს ყველაფერი კეთდება ისე, რომ უკვე აღდგენილია და თავისუფალია სამანქანო მოძრაობა. უახლოეს დღეებში დაიხაზება როგორც ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები, ასევე სამანქანო ნაწილი. შესაბამისად, 21 სექტემბრიდან, როცა ჩვენ საბოლოოდ გავხსნით პეკინის გამზირს, დასრულდება ყველა სამუშაო, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

ველობილიკის მოწყობის სამუშაოებზე თბილისის მერთან ერთად, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი გივი კუბლაშვილი იმყოფებოდა.

პეკინის ქუჩის რეაბილიტაციის პროცესი დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. ამ დროისთვის ძირითადი სამუშაოები უკვე დასრულებულია და მოძრაობა სრულად აღდგენილია.

ბიზნესმედია

გიორგი კვირიკაშვილი აშშ-ში გაემგზავრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გაერო-ს გენერალური ასამბლეის 72-ე სესიაზე 21 სექტემბერს სიტყვით გამოვა.

ნიუ-იორკში ვიზიტის ფარგლებში, გიორგი კვირიკაშვილი 19 სექტემბერს მონაწილეობას მიიღებს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ მაღალი დონის ღონისძიებაში, რომელზეც საქართველოს პრემიერ-მინისტრი -ის თავმჯდომარეობას, ერთი წლით, საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონისგან გადაიბარებს.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საქართველო ისტორიაში პირველად ხდება 75 ქვეყნისგან შემდგარი ორგანიზაციის (ინიციატივის) თავმჯდომარე. გაეროს გენერალური ასამბლეის 72-ე სესიაზე ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია საქართველოს მთავრობის მეთაურის ორმხრივი შეხვედრები. 18 სექტემბერს გიორგი კვირიკაშვილი ევროპული საბჭოს პრეზიდენტ დონალდ ტუსკსა და ეუთო-ს გენერალურ მდივან ტომას გრემინგერს შეხვდება.

ასევე გაიმართება საქართველოს შეხვედრები გაერო-ს გენერალურ მდივან ანტონიო გუტიერეშთან, მოლდოვას პრემიერ-მინისტრ პაველ ფილიპთან, უზბეკეთის პრეზიდენტ შავკატ მირზოევსა და ავღანეთის პრეზიდენტ მოჰამედ აშრაფ ღანისთან. საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაესწრება აშშ-ის პრეზიდენტისა და გაერო-ს გენერალური მდივნის მიერ ორგანიზებულ შეხვედრას – „გაერო-ს რეფორმები“, ასევე, მონაწილეობას მიიღებს მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში ინოვაციური დაფინანსების განმტკიცების თემაზე დაგეგმილი მაღალი დონის შეხვედრის გახსნით სესიაში.

იგეგმება საქართველოს მთავრობის მეთაურის დასწრება მაღალი დონის შეხვედრაზე თემაზე – ადამიანის უფლებათა საბჭოს რეფორმები, რომელიც აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსის, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივან ბორის ჯონსონისა და დანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბერტ კოენდერსის თანათავმჯდომარეობით გაიმართება; გიორგი კვირიკაშვილი მონაწილეობას მიიღებს „ბლუმბერგის“ გლობალური ბიზნესფორუმის ფარგლებში მაიკლ ბლუმბერგის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებშიც. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ასევე მიწვეულია ოფიციალურ მიღებაზე, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპისა და მისი მეუღლის სახელით გაერო-ში დელეგაციების ხელმძღვანელთა პატივსაცემად გაიმართება.

ინტერპრესნიუსი

მიხეილ სააკაშვილი კიევში 17 ოქტომბერს ჩავა

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი კიევში 17 ოქტომბერს დაბრუნდება. სააკაშვილი თანამებრძოლებთან ერთად კიევში აქციის გამართვას გეგმავს.

– ყველა ოპოზიციის ლიდერი შეთანხმდა ახლა, რომ ავიღოთ დრო 17 ოქტომბრამდე. მე ახლა შეიძლება ჩავიდე-ჩამოვიდე კიევში, ჩემი საქმე მაქვს. შევთანხმდით, რომ 17 ოქტომბერს ყველა ერთად გამოვცხადდეთ, ბევრი ხალხით და მოვითხოვოთ ის, რაც არის ლოგიკური, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, 17 ოქტომბრამდე ყველა რეგიონის შემოვლას მოახერხებს. მან აღნიშნა, რომ მის მხარდამჭერ ხელმოწერებს აგროვებენ. მიხეილ სააკაშვილის თქმით, ივან-ფრანკოვსკის საოლქო საბჭოს მსგავსად, სხვა რეგიონებშიც იგეგმება მიმართვების შემუშავება.

პირველი რადიო

2017, 18 სექტემბერი, №221

რა ცვლილებები იგეგმება მიწის კანონში და რატომ ითხოვენ ბანკები გამონაკლისს

საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწის გასხვისებასთან დაკავშირებით მორატორიუმია გამოცხადებული.

რაც ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუციის ამოქმედებამდე სრულადაა აკრძალული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეზე გასხვისება.

თუმცა კანონმა შესაძლოა დაუშვას გარკვეული გამონაკლისები და დადგენილი შეზღუდვა არ გავრცელდეს კომერციულ ბანკებზე, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე. ამასთანავე, მთავრობას განსაკუთრებულ შემთხვევაში მიწის უცხოელზე გასხვისებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება დარჩეს.

როგორც „კომერსანტისთვის“ გახდა ცნობილი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შეძენასთან დაკავშირებულ კანონპროექტში ბანკების გამონაკლისებში ჩასართავად მთავრობას თავად საბანკო სექტორმა მიმართა. ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი ზურაბ გვასალია განმარტავს, რომ მთავრობამ ეს გადაწყვეტილება საბანკო სექტორთან კონსულტაციის შემდგომ მიიღო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკებში სესხის უზრუნველყოფა მიწით ვეღარ მოხდებოდა და საკმაოდ რთული სიტუაცია შეიქმნებოდა.

აღმოჩნდა, რომ საქართველოს მოქალაქეებს შეიძლება სერიოზული პრობლემები შეექმნათ თუ სასოფლო-სამეურნეო მიწებს, როგორც ეკონომიკურ კატეგორიას, უზრუნველყოფისთვის ვერ გამოიყენებენ.

– ბანკი მას უზრუნველყოფაში ვერ აიღებს. პრობლემური სესხის შემთხვევაში მიწის აუქციონზე ვერ გაყიდვის შემთხვევაში ბანკი იძულებული ხდება ხოლმე, თავად იყიდოს ეს მიწა. თუმცა, ამ მიწას ვეღარ ყიდულობს, რადგან ბანკი არ არის საქართველოში, რომელსაც უცხოელი დამფუძნებელი არ ჰყავდეს. გამომდინარე აქედან, ყველა ბანკი მიწის უზრუნველყოფაში ჩადებაზე უარს იტყოდა, – აცხადებს გვასალია.

არსებობს საკმაოდ ბევრი შემთხვევა, როდესაც აუქციონზე მიწა ვერ გაიყიდა, ბანკმა უკვე ფულიც გადაიხადა, თუმცა, საჯარო რეესტრში, მორატორიუმის გამოცხადების გამო, ვერ გადაიფორმა.

– ამ დროს ვღებულობდით იმას, რომ ბანკმა ფაქტობრივად სესხი დაუფარა მიწის მფლობელს და ქონებაც დაუტოვა იმიტომ, რომ ვერ გაიფორმა. ეს მომავალში პრობლემებს შექმნიდა. სამომავლოდ ისინი სასოფლო-სამეურნეო მიწას უზრუნველყოფაში აღარ ჩაიდებდნენ. გამომდინარე აქედან, მიწის მფლობელ ფერმერებს შეექმნებოდათ პრობლემა, – აცხადებს გვასალია.

კანონპროექტით, კომერციულ ბანკებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეძლევათ ვალდებულება, შესაბამისად ორი და ერთი წლის ვადაში გაასხვისონ მათ საკუთრებაში არსებული მიწები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე. კითხვაზე, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ბანკი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიწას 2 წლის ვადაში ვერ გაასხვისებს, გვასალია განმარტავს, რომ ეს საკითხი აუცილებლად ჩადებული უნდა იყოს ორგანულ კანონში, რომელზე მუშაობაც ახლა მიმდინარეობს.

მისივე მტკიცებით, ქვეყანაში შემცირდება მიწების მყიდველთა ბაზები, რაც აუცილებლად იმოქმედებს მიწის ლიკვიდობაზე და ფასზე. კერძოდ, გვასალია არ გამორიცხავს, რომ სამომავლოდ მიწის ღირებულება შემცირდეს.

კანონპროექტის ერთ-ერთი ინიციატორის ანრი ოხანაშვილის განმარტებით, საკითხი ამ ეტაპზე დამუშავების პროცესშია და შინაარსობრივი საკითხები შესაძლოა, კიდევ დაიხვეწოს.

თამარ ჩუგოშვილი – „აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები დაიწყება“

– ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები დაიწყება და, შესაბამისად, კონგრესის მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თამარ ჩუგოშვილმა აშშ-ში საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტის შეჯამებისას განაცხადა.

თამარ ჩუგოშვილის თქმით, აშშ-ში ვიზიტისას საპარლამენტო დელეგაციას კონკრეტული ამოცანები და ორი კონკრეტული საკითხი ჰქონდა.

– პირველი არის ოკუპირებული ტერიტორიების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თემა და მეორე – თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებთან, – აღნიშნა თამარ ჩუგოშვილმა.

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია, თამარ ჩუგოშვილის ხელმძღვანელობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტით 10-16 სექტემბერს იმყოფებოდა.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრებმა შეხვედრები გამართეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენებთან: დინა ტიტუსთან, სტივ ვომეკთან, მაიკლ კონავეისთან, რიკ ლარსენთან, ასიგნებების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან ჰალ როჯერსთან, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატასთან არსებული „დემოკრატიის პარტნიორობის პალატის“ თავმჯდომარესთან პიტერ როსკამთან და პალატის თავმჯდომარის მოადგილესთან დევიდ პრაისთან.

შეხვედრები გაიმართა, ასევე სენატორებთან კორი გარდნერთან და რონ ჯონსონთან, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის პრეზიდენტთან, „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის“ პრეზიდენტთან და აღმასრულებელ დირექტორთან, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის პრეზიდენტთან, საერთაშორისო ორგანიზაციის „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ პრეზიდენტთან და გერმანიის მარშალის ფონდის მთავარ ექსპერტებთან.

შეხვედრებზე საუბარი შეეხო საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებს, მათ შორის საკონსტიტუციო რეფორმას, წინასაარჩევნო გარემოს, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო, ეკონომიკურ და საპარლამენტთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებას.

ამერიკულმა მხარემ საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მტკიცე და ურყევი მხარდაჭერა გამოხატა.

დელეგაციის შემადგენლობაში პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე სერგი კაპანაძე, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე სოფიო ქაცარავა და კომიტეტის წევრი, ირაკლი მეზურნიშვილი შედიოდნენ.

თბილისში ახალი, 23-ე მეტროსადგურის, „უნივერსიტეტის“, მშენებლობა დასრულდა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ თბილისში ახალი, 23-ე მეტროსადგურის მშენებლობა დაასრულა. სატესტო რეჟიმში მუშაობის პროცესი ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ გაგა ბუაძემ და აზიის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა სტუდენტებთან ერთად შეამოწმეს.

მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობა აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა და მისი ღირებულება დაახლოებით 84 მლნ ლარია.

ახალი მეტროსადგური განტვირთავს მიწისზედა სატრანსპორტო ნაკადებს და მაქსიმალურად შეამცირებს არსებულ საცობებს საბურთალოს რაიონში, სადაც ყოველდღიურად, საშუალოდ 220.000 ადამიანი სარგებლობს მუნიციპალური ტრანსპორტით. მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ ამუშავება დღეში 15.000-ზე მეტ თბილისელსა და დედაქალაქის სტუმარს სწრაფი და უსაფრთხო გადაადგილების საშუალებას მისცემს.

ბიზნესმედია

აგვისტოში საარსებო მინიმუმი 20 თეთრით გაიზარდა

10-თვიანი მუდმივი ზრდის შემდეგ საარსებო მინიმუმი უკვე 2 თვეა იკლებს.

ივნისის რეკორდული მაჩვენებლის შემდეგ, ივლისში საარსებო მინიმუმმა 167,2 ლარი შეადგინა, აგვისტოში აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის ანალოგიურია და 167,4 ლარს შეადგენს.

„საქსტატის“ ცნობით, მიმდინარე წლის აგვისტოში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 148,3 ლარი შეადგინა. 20 თეთრით გაიზარდა საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი და 280,9 ლარი შეადგინა.

ერთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი, სტატისტიკური მონაცემებით, 148,3 ლარით განისაზღვრა, ექვსსულიანის და მეტის კი – 394,5 ლარით.

კომერსანტი

ედიშერ მამალაძე: „3.5 მილიარდი, რაც სახელმწიფო შესყიდვებში იხარჯება, საქართველოშივე დარჩება“

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ადგილობრივი მწარმოებლებისთვის შეღავათი წესდება – ქართული კომპანიები ტენდერებში 10%-იანი შეღავათით ისარგებლებენ. აღნიშნულ საკითხს მთავრობის უახლოეს სხდომაზე განიხილავენ.

თემის დეტალებით გადაცემაში „საქმის კურსი“ კომპანია „საქკაბელის“ მმართველმა პარტნიორმა ედიშერ მამალაძემ ისაუბრა.

– ქართული ბიზნესი აღნიშნულ საკითხს დიდი ხანია ლობირებს, კმაყოფილი ხართ თუ არა შედეგებით?

– ჩვენ მართლაც დიდი ხანია ამ საკითხს ვაყენებთ და იმედი გვაქვს, რომ იგი მოკლე ხანში გადაწყდება. კმაყოფილება კი ალბათ მას შემდეგ იქნება, რაც გარკვეული დრო გავა და უკვე შედეგებიც გვექნება.

– რა შედეგებს ელოდება შეღავათების ამოქმედების შემდეგ ქართული ბიზნესი?

– უპირველესად ველოდებით იმას, რომ ის 3.5 მილიარდი, რასაც სახელმწიფო ხარჯავს ადგილობრივ შესყიდვებში, ეს თანხა ისევ საქართველოში დარჩება და ამით ქვეყნის ბიუჯეტი და თვითონ სახელმწიფო გაძლიერდება და ერთ სულ მოსახლეზე შესაქმნელი დოვლათი კიდევ მეტად გაიზრდება.

– „საქკაბელის“ მაგალითზე რომ ავიღოთ, სახელმწიფო შესყიდვებში კონკურენცია იმპორტირებულ პროდუქტთან რა ნაწილში უჭირდა?

– უჭირდა – არ უჭირდა სულ სხვა თემაა, თუმცა გვქონდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც იმპორტირებული თუნდაც ერთი და იგივე პირობებში იმით გვჯობნიდა, რომ, წარმოების სიდიდიდან გამომდინარე, 2-3%-ით უკეთესი ფასის დადება შეეძლო. გარდა ამისა, ჩვენთან ძალიან მარტივია, ყველაფერი გამჭვირვალეა და ეს სიმარტივე და გამჭვირვალობა უნდა შენარჩუნდეს. მათთვის იოლი იყო საქართველოს ბაზარზე შემოღწევა, რომ სხვა ბაზრებზე ჩვენი შეღწევა გაციცლებით რთულია.

ამ კანონით და გადაწყვეტილებით იმედი მაქვს, რომ სახელმწიფო მის წარმოებას მცირეოდენ უპირატესობას მიანიჭებს, ანუ ეს მოტივაცია ძირითადად იმით არის განპირობებული, რომ სახელმწიფოს მიერ დახარჯვადი თანხები მაქსიმალურად საქართველოში დარჩეს.

ბიზნესმედია

სემეკმა თელასი 5.000 ლარით დააჯარიმა

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ) 14 სექტემბრის საჯარო სხდომაზე სს „თელასი“ სალიცენზიო პირობების დარღვევის გამო 5.000 ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დააჯარიმა.

დაჯარიმების საფუძველია სს „თელასის“ მიერ კომერციულ მომხმარებლებთან გაფორმებული ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და სემეკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

სს „თელასს“ დაევალა, 2 თვის ვადაში უზრუნველყოს გაფორმებული ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებების საქართველოს კანონმდებლობასა და კომისიის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ბიზნესმედია

რომელი პროდუქტები გადის და შემოდის საქართველოში

რომელი პროდუქტი გააქვს საქართველოს ყველაზე ხშირად ექსპორტზე და რომელი პროდუქტებია იმპორტირებული?

ბოლო წლებში საქართველოს ექსპორტზე ყველაზე მეტი სპილენძის მადნები, ფეროშენადნობები, მსუბუქი ავტომობილები, ღვინო და სამკურნალო საშუალებები გააქვს.

რაც შეეხება იმპორტს, საქართველოში ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, სამკურნალო საშუალებები, ნავთობის აირები და სპილენძი შემოდის.

2017 წლის მეორე კვარტალში საქართველოდან ექსპორტზე 657 მლნ დოლარის პროდუქტი გავიდა. იანვარ-ივლისის მონაცემებით, უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები ექსპორტის კუთხით ასეთია:

სპილენძის მადნები – 244 მლნ დოლარი

ფეროშენადნობები – 183 მლნ დოლარი

მსუბუქი ავტომობილები – 102 მლნ დოლარი

ღვინო – 84 მლნ დოლარი

სამკურნალო საშუალებები – 79 მლნ დოლარი.

რაც შეეხება იმპორტს, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში 1879 მლნ დოლარი პროდუქტი შემოვიდა. იანვარ-ივლისის მონაცემებით უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების იმპორტი ასე გამოიყურება:

ნავთობპროდუქტები – 355 მლნ დოლარი

მსუბუქი ავტომობილები – 261 მლნ დოლარი

სამკურნალო საშუალებები – 197 მლნ დოლარი

ნავთობის აირები – 194 მლნ დოლარი

სპილენძი – 187 მლნ დოლარი.

„გორში პოლიცია ახალგაზრდებს აიძულებს, რომ კუკური ნოზაძეს შეაგინონ“

პატრულირების დროს, კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები ქუჩაში მიმავალ ახალგაზრდებს აჩერებენ და აიძულებენ მათ, რომ კუკური ნოზაძეს შეაგინონ.

ამის შესახებ კუკური ნოზაძე შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს ესაუბრა.

მისი თქმით, მას შემდეგ, რაც მან და მისმა ადვოკატმა საქმე სტრასბურის სასამართლოში გაასაჩივრეს, ზეწოლები არ წყდება.

კუკური ნოზაძე წარსულში არაერთგზის ნასამართლევია, ბოლოს ის იარაღისა და ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტზე, 2012 წელს დააპატიმრეს, რის გამოც, ციხეში 5 წელი გაატარა.

სწორედ ამ უკანასკნელი საქმის დეტალების გამო, საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომლებს, გამომძიებელ ლავრენტი იოსებიძეს და სხვა პირებს უჩივის. განაცხადი სტრასბურის სასამართლომ წარმოებაში 3 თვის წინ მიიღო.

– ზეწოლა ჯერ კიდევ ციხეში ყოფნისას დაიწყო, – გვითხრა კუკური ნოზაძემ, – ჩემი მდგომარეობის შესახებ ადვოკატმა ღიად განაცხადა, რომ უზენაესი სასამართლოს დასრულების შემდეგ საქმე სტრასბურში წავიდოდა. 2017 წლის აპრილში, ციხეში პატრიარქის სტუმრობის დროს, უამრავ ადამიანს შორის, რომლებიც იმ დროს ციხეში შევიდნენ, ვინმე „მერაბიც“ იმყოფებოდა. იგი კუკური ნოზაძეს დაემუქრა. მუქარის ტექსტის მიხედვით, თუ არ დაანებებდა პოლიციელების მიმართ ჩივილს, მწარედ ინანებდა ოჯახის წევრების მძიმე მდგომარეობაში ჩაგდებით.

გორისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოებმა მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. უზენაესმა სასამართლომ პატიმრობა 5 წლამდე შეუმცირა და 2017 წლის გაზაფხულზე გაათავისუფლა.

კუკური ნოზაძე ამბობს, რომ ის ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დააკავეს, ხელყუმბარა და მარიხუანა ჩაუდეს.

– ვიდრე სასამართლო დამთავრდებოდა, ეს ხელყუმბარა გააქრეს. არ ჩაატარეს ექსპერტიზა მასზე. რა უფლება ჰქონდათ, რომ ნივთმტკიცება თავიდანვე გაანადგურეს? იმ ე.წ. ხელყუმბარაზე ჩემი არც ანაბეჭდი ამოვიდოდა და არც დნმ-ის კვალი აღმოჩნდებოდა. და კიდევ მეორე ფაქტი: უზენაესმა სასამართლომ მუხლი, ნარკოტიკული ნივთიერების შენახვა-შეძენის შესახებ, შემიცვალა მოხმარებით. ამ დროს კი ექსპერტიზაც კი არ იყო ჩატარებული ნარკოტესტზე და მოხმარების ფაქტი საიდან დაადგინეს? მარიხუანა ჩემ სიცოცხლეში არ მომიხმარია, – აცხადებს კუკური ნოზაძე.

რამდენიმე წლის წინ ის ციხეში სასტიკად აწამეს. ჩაუტარდა მძიმე ოპერაცია და ამჟამად ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამის დაწესებულებაში მძიმე დიაგნოზით აღრიცხვაზეა:

– მე, ძალიან ადრე წარსულში, თუ რამ ჩავიდინე, იმაზე ვაგე პასუხი, დამსაჯა კიდეც ღმერთმა, მაგრამ ახლა მინდა შვილიშვილებთან ცხოვრება გავატარო მშვიდად, წყნარად. მიუხედავად ამისა, კვლავ არ მეშვებიან. უბანში ბიჭებს აჩერებენ პოლიციელები და ეუბნებიან, რომ თუ კუკური ნოზაძეს შეაგინებენ, მაშინ გაუშვებენ, – აცხადებს კუკური ნოზაძე.

* * *

შს სამინისტროს პრესსამსახური ამბობს, რომ მსგავსი ფაქტის არსებობა გამორიცხულია.

სტრასბურის სასამართლოში შეტანილი საჩივრის გამო მის მიმართ განხორციელებულ მუქარის ფაქტზე სახალხო დამცველის ოფისმა გენერალურ ინსპექციას წერილობით უკვე აცნობა. წერილობითი ასლების მიხედვით, ინფორმაცია სახელმწიფო უწყებებს და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებსაც აქვთ. ჯერჯერობით, გენინსპექციის პასუხი არც კუკური ნოზაძეს და არც სახალხო დამცველს არ მიუღიათ.

ქართლი.გე

49 წლის მევლუდ აბესაძე თანამშრომელმა ხელფასის გამო მოკლა

თბილისში, ისანში, 49 წლის მევლუდ აბესაძე ფულის გამო მოკლეს.

მამაკაცი ერთ-ერთი შპს-ს ხელმძღვანელი იყო, რომელსაც 15 სექტემბერს გვიან ღამით სამმა პირმა მიაკითხა და სახელფასო დავალიანების გასტუმრება მოსთხოვა, აწგარდაცვლილი კი დაჰპირდა, რომ თანხას სამშაბათს გადაუხდიდა, თუმცა მოგვიანებით ერთ-ერთმა პირმა მას დანა გულში დაარტყა. შემთხვევის დროს დაიჭრა ინციდენტში მონაწილე კიდევ ერთი მამაკაცი.

როგორც „ნიუპოსტს“ უყვებიან, ბრალდებული 23 წლისაა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

– შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს, ისანი-სამგორის სამმართველოს და ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული ი.ა. განზრახ მკვლელობის, ხოლო 1981 წელს დაბადებული გ.ჩ. და 1985 წელს დაბადებული ლ.ტ. – დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 15 სექტემბერს, ისნის რაიონში, ბრალდებულმა ი.ა.-მ, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1969 წელს დაბადებულ მ.ა.-ს ცივი იარაღის გამოყენებით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც იგი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ი.ა. და გ.ჩ რუსთავში, ლ.ტ. კი – თბილისში, ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება განზრახ მკვლელობის და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე და 376-ე მუხლებით), – აღნიშნავენ უწყებაში.

ავარია კახეთში: გასწრების დროს „მერსედესი“ „06“-ს დაეჯახა — დაღუპულია 1 ადამიანი

კახეთში გურჯაანი – თბილისის საავტომობილო გზაზე მომხდარი ავარია მსხვერპლით დასრულდა.

„ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტის ინფორმაციით, ერთმანეთს „06“-ის მარკის ტაქსი და „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა შეეჯახნენ.

„მერსედესის“ მარკის ავტომანქანის მძღოლი გასწრებას ცდილობდა და საპირისპიროდ მოძრავ მანქანას შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად „ჟიგულის“ მძღოლი, 48 წლის მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო 3 მგზავრი სხვადასხვა სახის დაზიანებით, სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გურჯაანის საავადმყოფოში გადაიყვანა.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია. ავარიის შედეგად შეიზღუდა მოძრაობა. თელავის მიმართულებით გადაადგილება შემოვლითი გზით იყო შესაძლებელი.

მომხდარზე საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით აღიძრა, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ხელვაჩაურში მანქანა ბოძს შეეჯახა — 1 დაიღუპა, 2 დაშავდა

ხელვაჩაურში მომხდარ ავარიას 1 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 2 პირიც დაშავდა, რომლებიც კლინიკაში გადაიყვანეს, მათი მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

თვითმხილველების თქმით, მსუბუქი ავტომობილი ხელვაჩაურის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე გადაადგილებისას ბოძს შეეჯახა.

როგორც ნიუპოსტს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო, რაც მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც გარდაცვალება გამოიწვია.

აფეთქება კიბერნეტიკის ინსტიტუტის ყოფილ შენობაში — დაღუპულია 40 წლამდე მამაკაცი

16 სექტემბერს სანდრო ეულის ქუჩაზე, კიბერნეტიკის ინსტიტუტის ყოფილ შენობაში, აფეთქება მოხდა.

შენობაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა.

აფეთქების შედეგად დაიღუპა 40 წლამდე მამაკაცი. ის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ყოფილ შენობაში დასუფთავების სამუშაოებს ასრულებდა.

არსებული ინფორმაციით, შენობაში ჟანგბადის ავზი აფეთქდა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიცია და სამაშველო სამსახურების წარმომადგენლები.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.

გორში საჭვირთო მანქანა ქალს დაეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა გორში. კეცხოველის ქუჩაზე სატვირთო ავტომანქანა ფეხით მოსიარულე ქალს დაეჯახა, რომელმაც სხეულის დაზიანებები მიიღო და საავადმყოფოშია გადაყვანილი.

მძღოლი შემთხვევის ადგილიდან არ მიმალულა.

გამოძიება მომხდარზე სისხლის სამართლის კოდექსის 276 მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო.

ბათუმში, საცხოვრებელ კორპუსთან, მამაკაცის გვამი იპოვეს

ბათუმში, ინასარიძის №11-ში საცხოვრებელ კორპუსთან მამაკაცის გვამი იპოვეს. თვითმხილველების თქმით, მამაკაცი, სავარაუდოდ, სიმაღლიდან ვარდნის შედეგად გარდაიცვალა.

ადგილზე სამართალდამცველები იყვნენ მობილიზებული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

სროლა და ყაჩაღობა ტაშკენტის ქუჩაზე

16 სექტემბერს თბილისში, ტაშკენტის ქუჩაზე, მაღაზია დააყაჩაღეს. ადგილობრივებმა რამდენიმე გასროლის ხმაც გაიგეს.

ერთ-ერთი მოქალაქე მაღაზიაში წყლის საყიდლად შევიდა და ყაჩაღობის ფაქტს შეესწრო.

თავდამსხმელმა გაქცევა მოასწრო. როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ბრალდებულის ვინაობა დადგენილია.

უწყებაში აცხადებენ, რომ მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა. ბრალდებულმა გარკვეული რაოდენობის თანხის წაღება შეძლო.

ბაღდათში შვილმა მამა მოკლა, დედა კი დაჭრა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმში შვილმა მამა მოკლა.

როგორც ადგილობრივები ჰყვებიან, შვილს ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა. გასროლის შედეგად, დედის მისამართით გამიზნული ტყვია მამას მოხვდა, დედა კი დაიჭრა.

როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, მკვლელობაში ეჭვმიტანილი დაკავებულია. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდესის 11-108 პრიმა მუხლით, რაც ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

საქართველოს მოქალაქეს სარფის საბაჟოზე ჩემოდნით რუსი ქალი გადმოჰყავდა

საქართველოს მოქალაქე სარფის სასაზღვრო პუნქტის მეშვეობით ჩემოდნით 27 წლის ქალის გადმოყვანის მცდელობისას დააკავეს.



საპასპორტო კონტროლის დროს 46 წლის კაცი სასაზღვარზე დიდი ჩემოდნით გადაადგილდებოდა. მოგვიანებით, თურქულმა პოლიციამ ჩემოდანში რუსეთის 27 წლის მოქალაქე აღმოაჩინა.

თურქული მედიის ინფორმაციით, მიმდინარე წლის მაისში ანტალიის რეგიონში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რომლის დროსაც ავტომობილს სწორედ ეს ქალი მართავდა. ძიების დასრულებამდე მას თურქეთის ტერიტორიის დატოვება ეკრძალებოდა.

ვაჟა-ფშაველაზე საკანცელარიო მაღაზია გაძარცვეს

16 სექტემბერს ვაჟა-ფშაველას 8 ნომერში საკანცელარიო მაღაზია გაძარცვეს.

როგორც მაღაზიის თანამშრომელი ამბობს, მან სავაჭრო ობიექტი დაახლოებით საღამოს 10 საათზე დაკეტა, ნახევარ საათში კი ძარცვის შესახებ დაცვის სამსახურისგან შეიტყო.

მისივე თქმით, მაღაზიიდან მხოლოდ თანხაა წაღებული, რომლის ზუსტი ოდენობა უცნობია.

ტრამპი პოროშენკოს შეხვდება

21 სექტემბერს პეტრო პოროშენკო აშშ-ის პრეზიდენტს თეთრ სახლში შეხვდება.

– უკრაინა აშშ-ის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორია, – იტყობინება „ამერიკის ხმა“.

უკრაინის საგარეო მინისტრმა კლიმკინმა განაცხადა, რომ ტრამპისა და პოროშენკოს მოლაპარაკებების ძირითადი თემა დონბასში შექმნილი მდგომარეობა და უკრაინა-აშშ-ს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება იქნება.

შეხვედრას უკრაინის ელჩი გაეროში ელჩენკო, აგრეთვე გაეროში აშშ-ის წარმომადგენელი ნიკი ჰეილიც დაესწრებიან.

– უკრაინა–აშშ-ის პარტნიორობა ღრმავდება, – თქვა კლიმკინმა.

ტილერსონი: „რუსეთი მეზობლებისთვის საფრთხედ გადაიქცა!“

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა განაცხადა, რომ რუსეთი თავის მეზობლებზე ძალისმიერ ზეწოლას ახორციელებს, რითაც რეგიონში დესტაბილიზაციას ქმნის. ჩრდილოეთ კორეისა და ირანის მსგავსად, რუსების მოქმედება დესტრუქციულია.

– რუსეთი მეზობლებისთვის საფრთხედ გადაიქცა. უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა უკრაინა და საქართველო. მათ განვითარების დემოკრატიული გზა აირჩიეს, რაც მოსკოვისთვის მიუღებელია, – ამბობს ტილერსონი.

ლონდონის მეტროს აფეთქებაში ეჭვმიტანილი დააპატიმრეს

ისლამურმა სახელმწიფომ ლონდონის მეტროში აფეთქებაზე პასუხისმგებლობა აიღო.

ამავე დროს, ინგლისის შსს აცხადებს, რომ დაპატიმრებულია 16 წლის ახალგაზრდა, რომელსაც ბრალად ედება აფეთქების ორგანიზაცია.

ეჭვმიტანილის ვინაობა არ ხმაურდება. ითქვა მხოლოდ, რომ ის დააპატიმრეს მაშინ, როცა ქვეყნის დატოვებას აპირებდა.

ილარიონოვი: „ბელარუსი საფრთხეშია!“

ვლადიმერ პუტინის ყოფილმა მრჩეველმა ანდრეი ილარიონოვმა განაცხადა, რომ ომი დონბასში პუტინის დოქტრინამ განაპირობა.

რუსეთის პრეზიდენტის აზრით, უკრაინელები და ბელარუსები არ არსებობენ, არსებობს ერთიანი რუსი ერი, რომელიც მტრულმა ძალებმა ხელოვნურად დაყვეს. პუტინის მისია მათი გაერთიანებაა და მან შეიმუშავა კონცეფცია: ერთი რელიგია, ერთი ენა, ერთიანი ბაზარი.

– უკრაინაში პუტინი გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა, რასაც არ მოელოდა. რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებიც კარგა ხნით ჩიხში შევიდა, – თქვა ილარიონოვმა.

მისი აზრით, პუტინი მარცხის გადაფარვას შეეცდება. ახლა რუსეთის პრეზიდენტმა მიზანში ბელარუსი ამოიღო. აქ გაერთიანებისათვის ყველაფერი მზადაა. შექმნილია რუსეთ-ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფო, რასაც ხალხმა რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა. რუსულმა ენამ ბელარუსული კარგა ხანია ყველა სფეროდან განდევნა.

კრემლმა შეძლო, ბელარუსის ხელისუფლებისთვის თავს მოეხვია მოდელი, როცა ყოველივე ეროვნული ითრგუნება. ბელარუსიც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდა.

მრეწველობის საკონტროლო პაკეტი რუსების ხელთაა; გაზ-გამანაწილებელი სისტემა რუსების ხელშია; საზღვარზე რუსები დგანან; არ არსებობს ბელორუსული ეკლესია და ა.შ.

– რაოდენ პარადოქსალურადაც არ უნდა ჟღერდეს, რუსეთ-ბელარუსის გაერთიანებას დღეს ხელს ძირითადად ალექსანდრე ლუკაშენკო უშლის. ის თავის, როგორც ფეოდალის, მდგომარეობას უფრთხილდება, – ამბობს ილარიონოვი.

პუტინის ყოფილი მრჩევლის აზრით, კრემლს ბელარუსის ანექსიის გეგმა უკვე მზადა აქვს. ბელარუსს არ გააჩნია ისეთი სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც წინააღმდეგობის გაწევას შეძლებენ. ბელარუსის მოსახლეობის უმრავლესობისთვის, უკრაინელებისგან განსხვავებით, მშვიდობა გაცვლებით მეტ ფასეულობას წარმოადგენს, ვიდრე სუვერენიტეტი. პუტინსაც ხელ-ფეხი გახსნილი აქვს.

– ბელარუსი საფრთხეშია! – აცხადებს ილარიონოვი.

სროლა გერმანიის რესტორანში — დაღუპულია 2 ადამიანი

17 სექტემბერს თავდასხმა მოხდა გერმანიაში, ბავარიის ქალაქ ტრაუნროიტში მდებარე რესტორანზე.

ეჭვმიტანილმა, რომელიც პოლიციამ უკვე დააკავა, რესტორანში მყოფ ადამიანებს ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც 2 მამაკაცი დაიღუპა, ხოლო 2 ქალი მძიმედ დაშავდა.

დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს.

პოლიციას მომხდარისათვის ტერაქტის კვალიფიკაცია ჯერჯერობით არ მიუცია. სამართალდამცავების განცხადებით, გამოძიება საწყის სტადიაზეა და დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

სირია: რუსულმა ავიაციამ ასადის მოწინააღმდეგეთა პოზიციები დაბომბა

რუსულმა ავიაციამ ასადის მოწინააღმდეგეთა პოზიციები დაბომბა. ამის თაობაზე პენტაგონი იტყობინება.

საუბარია სირიის დემოკრატიულ ძალებზე, რომლებიც ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძვიან.

დაშავებულია რამდენიმე მებრძოლი.

დაპატიმრებები თურქეთში

თურქეთის უშიშროების ძალებმა სტამბულში დაკავებების მთელი სერია განახორციელეს.

აყვანილია 74 ადამიანი. აქედან 70 უცხოელია.

არსებობს ეჭვი, რომ დაკავებულებს ისლამურ სახელმწიფოსთან ჰქონდათ კავშირი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

კალეიდოსკოპი

პრინც ჩარლზს ბუკინჰემის სასახლეში ცხოვრება არ სურს

უელსის პრინც ჩარლზს არ სურს, რომ ბუკინჰემის სასახლით რეზიდენციის სახით ისარგებლოს, სადაც ის ტახტზე ასვლის შემდეგ იცხოვრებს. ამ ინფორმაციას ერთერთი ბრიტანული გამოცემა ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ პრინცი ჩარლზი თავს კომფორტულად თავის ამჟამინდელ ლონდონის რეზიდენცია კლარენს-ჰაუსში გრძნობს. სწორედ იქ სურთ ცხოვრების გაგრძელება უელსის პრინცსა და კორნუოლის ჰერცოგინია კამილას.

პრინცის აზრით, უფრო მომგებიანი იქნება თუ ბუკინჰემის სასახლე ხალხისთვის უფრო გახსნილი იქნება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

ვასწავლი

● მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულ ენებში დიპლომატიური განათლებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეღავათიან ფასებში. მის.: ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. №118. ტელ.: 593-90-73-13, თამარი.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა – კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.

● გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა – პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.

● ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ოზონატორი არის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

სამტრედიამ ბრძოლაში იმარჯვა, ჭორპედომ ბათუმის დინამო არ დაინდო

სამტრედია-ლოკომოტივი 2:1

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

1:0 გიი (49), 1:1 სიხარულიძე (68), 2:1 გიი (90)

სამტრედია: მიგინეიშვილი, მთივლიშვილი, კასრაძე (მარკოზაშვილი 81), სანდოხაძე, მანჯგალაძე, რაჟამაშვილი (ახალაძე 90), საბანაძე (ოლაიტანი 67), გოგიაშვილი, მჭედლიშვილი, დათუნაიშვილი, გიი

ლოკომოტივი: თევდორაძე, ჭანტურია (ჩიტეიშვილი 82), სიხარულიძე, ქავთარაძე, დიასამიძე, გოროზია (კიკაბიძე 65), არველაძე, კობახიძე, რეხვიაშვილი, უბილავა, სამურკასოვი (გვალია 59)

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის, ეროვნული ლიგის 26-ე ტურის ცენტრალურ მატჩში სამტრედიამ შინ 2:1 დაამარცხა თბილისის ლოკომოტივი და მათი ზედიზედ 40-მატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტეს. თავად სამტრედიელებმა კი, წაუგებელი მატჩების რაოდენობა 11-მდე გაზარდეს.

გამარჯვებულთა მხრიდან დუბლი შეასრულა კოტდივუარელმა ლეგიონერმა ანტე გიიმ, რომელმაც გამარჯვების გოლი მსაჯის მიერ კონპენსირებული დროის მესამე წუთზე გაიტანა და მატჩის გმირად მოგვევლინა.

გიიმ მასპინძელთა პირველი გოლიც გაიტანა, რომელიც შემდეგ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა, ირაკლი სიხარულიძემ გაქვითა.

მთლიანობაში თამაში საინტერესო იყო და მოიგო მან, რომელსაც მეტი ჟინი და ნაკლები შეცდომა ჰქონდა.

არადა, პირველი რეალური საგოლე მომენტი ლოკოსი იყო, როდესაც გიორგი გოროზია მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ბურთი კარს დიდი მანძილით აცილა. თბილისურმა გუნდმა რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელა, აქტიურობდნენ გოროზია, სიხარულიძე და დიასამიძე...

მეორე ტაიმის დასაწყისში სამტრედიამ ანგარიში გახსნა: ფლანგური ჩაწოდების შემდეგ სტუმართა საჯარიმოში საბანაძემ მიიღო ბურთი, კარისკენ დაარტყა, ბურთი თანაგუნდელ გიის მოხვდა და მასპინძლები დაწინაურდნენ – 1:0

54-ე წუთზე გის დუბლის შესრულების შანსი ჰქონდა, მჭედლიშვილის პასის შემდეგ მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

68-ე წუთზე გეგა დიასამიძის კარგი გადაცემის შემდეგ მასპინძელთა საჯარიმოში ირაკლი სიხარულიძემ დაასწრო გოგიაშვილს, ვარდნაში დარტყმული ბურთი მიგინეიშვილის კარის ბადეში აღმოჩნდა – 1:1. ეს სიხარულიძის მე-20 გოლია მიმდინარე სეზონში.

ლოკოს დაწინაურების შანსიც ჰქონდა: ქავთარაძემ მარჯვენა ფლანგზე კარგად ითამაშა, მაგრამ მისი პასის შემდეგ კი ვატო არველაძემ გოლის გატანის რეალური შანსი ვერ გამოიყენა – მისი დარტყმის შემდეგ მიგინეიშვილმა ბურთი კუთხურზე მოიგერია.

არველაძეს ეს მომენტი რომ გოლად ექცია, არავინ იცოდა როგორ დამთავრდებოდა შეხვედრა. ლოკომ ვერ გაიტანა და საკუთარ კარში მიიღო: მაიკლ ოლაიტანისა და გის გათამაშებული კომბინაცია გოლით დასრულდა. ლოკოს მცველებში მოქცეულმა მასპინძელთა ფორვარდმა ბუცის წვერით დაარტყა კარისკენ და თავისიანებს 3 ქულა მოუტანა – 2:1.

დინამო (ბთ)-ტორპედო 0:5

ბათუმი. რაგბი არენა

0:1 ქიმაძე(14), 0:2 ტულუში(22), 0:3 კუხიანიძე(37პ), 0:4 კორობკა(83), 0:5 კუხიანიძე(88)

დინამო: ტიმოფეევი, ფარტენაძე, მახარაძე, შონია, სუხიაშვილი, კვირკველია, ჩოგაძე (თევდორაძე 55), ე.გრიგალაშვილი (გ.ქავთარაძე 89), არზიანი (ფლამარიონი 56), კვასოვი, მარცვალაძე

ტორპედო: კვასხვაძე, ტაბატაძე, ჭიჭინაძე, ხურცილავა, კაპანაძე (მამასახლისი 62), კუხიანიძე, კუტალია (კუჭუხიძე 80), დოლიძე (კორობკა 67), ქიმაძე, გიგაური, ტულუში

ბათუმის დინამომ ზედიზედ მეორე მატჩი წააგო 0:5. ზღვისპირელები ამჯერად ტორპედოსთან დამარცხდნენ.

ტორპედო თავიდანვე დამკვიდრდა მეტოქის ნახევარზე და გოლამდე რამდენიმე მომენტი ვერ გამოიყენა. ჯერ გრიგოლ დოლიძის ჩამოწოდებული კუთხურის შემდეგ ანატოლი ტიმოფეევმა ახლო მანძილიდან ლევან კუტალიას თავური დარტყმა აუღო, ხოლო ზუსტად 1 წუთში ზურაბ არზიანის შეცდომის შემდეგ კუტალია უკრაინელ მეკარესთან პირისპირ გავიდა, მისი მოტყუება სცადა და არ გამოუვიდა.

თუ აქამდე ტიმოფეევი კარგად ირჯებოდა, მე-14 წუთზე შეცდა. გრიგოლ დოლიძის გამჭოლი გადაცემა ხელებში ვერ დაიმორჩილა, რითიც იქვე მდგომმა გიორგი ქიმაძემ ისარგებლა და ცარიელ კარში გაიტანა.

ამის შემდეგ იმერლებს შეტევის ტემპი არ დაუგდიათ და 22-ე წუთზე მეორეც გაიტანეს. ამჯერად ბექა ტუღუშმა ერთი შეხებით ლევან კუტალიას ბრწყინვალე გადაცემის შემდეგ გაიტანა.

36-ე წუთზე ბათუმელთა კარში პენალტი დანიშნა. დავით კვირკველიას საჯარიმოში თორნიკე კაპანაძე გაექცა, გამოცდილმა მცველმა კი ის ხელით შეაჩერა. გიორგი კუხიანიძემ 11 მეტრიდან ზუსტად დაჰკრა – 0:3.

მეორე ტაიმის დასაწყისში დინამო უკეთესად გამოიყურებოდა. იაროსლავ კვასოვის შორეული გასროლა როინ კვასხვაძემ მოიგერია. შემდეგ იყო კიდევ ერთი ხიფათი ტორპედოს კართან, რასაც პასუხად კუხიანიძის მოჭრილი დარტყმა მოჰყვა, რომელიც მეკარემ კუთხურზე გადააგდო.

83-ე წუთზე ცვლილებაზე შემოსულმა ვლადიმირ კორობკამ ტორპედოში სადებიუტო გოლი გაიტანა – უკრაინელმა ლეგიონერმა თავისივე თანამემამულის მოგერიებულ ბურთს დაამატა.

საბოლოო ანგარიში 87-ე წუთზე ბექა ტუღუშის გენიალური პასის შემდეგ, კუხიანიძემ დუბლი გაიფორმა – 0:5.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	25	18	3	4	63-18	57
2.ტორპედო	26	15	6	5	39-20	51
3.სამტრედია	26	15	6	5	41-26	51
4.ლოკომოტივი	26	13	3	10	47-35	42
5.ჩიხურა	25	11	4	10	32-39	37
6.საბურთალო	25	11	4	10	37-28	37
7.დინამო (ბთ)	26	8	2	16	22-42	26
8.დილა	25	6	7	12	30-39	25
9.კოლხეთი	25	4	7	14	22-46	19
10.შუქურა	25	2	6	17	23-63	12

დინამო ევროტურნირს ახალი კალათბურთელებით ხვდება

ქართულ საკალათბურთო ცხოვრებაში სიახლეა – ხვალ თბილისის დინამო ევროპის ჩემპიონთა ლიგაში იწყებს მონაწილეობას. მეტოქე კი სერიოზული ჰყავს – ესპანური ხუვენტუდი. საპასუხო შეხვედრა ესპანეთში 21 სექტემბერს გაიმართება. თუ დინამო ამ ეტაპს ვერ დაძლევს, გუნდი ავტომატურად ფიბა-ს თასის ჯგუფურ ეტაპზე გადაინაცვლებს.

ცხადია, ქართული კლუბები ევროტურნირებზე ვერაფრით დაიკვეხნიან, მაგრამ დინამო ცდილობს სერიოზულად მოემზადოს საამისოდ და რამდენიმე კარგი შევსებაც მიიღო.

გუნდს ბოლოს შეუერთდნენ გიორგი ცინცაძე და ნიკოლოზ ცქიტიშვილი. ცინცაძეს ხანგრძლივი სანაკრებო კარიერა უმაგრებს ზურგს, ხოლო ცქიტიშვილის ნბა აქვს მოვლილი.

მათ გარდა დინამოს შეუერთდნენ ჰარისონ კიელ ტურპინი, ნიკოლა გაჩეჩა, ლაველ ლაფრი ბოიდი და მალიკ კორნელ სტორი. ტურპინი და გაჩეშა დინამოელებმა რუსთავიდან დაიმატეს, ხოლო ბოიდი – ამერიკიდან. 23 წლის უკანახაზელი ამერიკის სტუდენტური ლიგის გასულ სეზონში საშუალოდ 17.8 ქულას და 3.9 პასს აგროვებდა.

ერთწლიანი პაუზის შემდეგ დინამოს 27 წლის მეფარე გიორგი შარაბიძე დაუბრუნდა. გიორგიმ გასული სეზონი მაკედონიის ფენი ინდუსტრიში გაატარა.

ახალწვეულებს გუნდში ძველებიც დახვდებიან: მიხეილ ბერიშვილი, ილია ლონდარიძე, ლევან ფაცაცია, ზურაბ მაჩალაძე, ნოდარ გოგოძე, ლევან გრძელიძე, გიორგი რევაზაშვილი.

წინა სეზონის შემდეგ გუნდიდან წავიდნენ მიხეილ ჭოჭუა, დეონტა ვონმა და ნიკოლა მარავიჩი.

მიუხედავად სერიოზული მზადებისა, იმასაც დავძენთ, რომ დინამომ თურქეთის ქალაქ ტრაბზონში სამთა ტურნირში მიიღო მონაწილეობა და 2 მატჩი წააგო, რაც ოპტიმიზმის საშუალებას არ იძლევა. ერთია, გუნდი თურქეთში არასრული შემადგენლობით იყო წასული.

შედეგები

16 სექტემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

კრ.პალასი-საუთჰემპტონი 0:1
ჰადერსფილდი-ლესტერი 1:1
ლივერპული-ბარნლი 1:1
ნიუკასლი-სტოკი 2:1
უოტფორდი-სიტი 0:6
ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი 0:0
ტოტენჰემი-სუონსი 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	5	4	1	0	16-2	13
2.მანჩესტერი	4	3	1	0	12-2	10
3.ჩელსი	4	3	0	1	8-5	9
4.ნიუკასლი	5	3	0	2	6-4	9
5.ტოტენჰემი	5	2	2	1	7-3	8
6.ჰადერსფილდი	5	2	2	1	5-3	8
7.ბარნლი	5	2	2	1	6-5	8
8.ლივერპული	5	2	2	1	9-9	8
9.საუთჰემპტონი	5	2	2	1	4-4	8
10.ვესტ ბრომვიჩი	5	2	2	1	4-4	8
11.უოტფორდი	5	2	2	1	7-9	8
12.არსენალი	4	2	0	2	7-8	6
13.სტოკი	5	1	2	2	5-6	5
14.სუონსი	5	1	2	2	2-5	5
15.ლესტერი	5	1	1	3	7-9	4
16.ბრაიტონი	5	1	1	3	4-7	4
17.უოტფორდი	4	1	1	2	2-6	4
18.ვესტ ჰემი	5	1	1	3	4-10	4
19.ბორნმუთი	5	1	0	4	3-9	3
20.კრ.პალასი	5	0	0	5	0-8	0

ინგლისი. ჩემპიონშიპი

ბარტონი-ფულემი 2:1
ბირმინგემი-პრესტონი 1:3
ბრენტფორდი-რედინგი 1:1
ბრისტოლი-დერბი 4:1
იფსვიჩი-ბოლტონი 2:0
კარდიფი-უენსდი 1:1
მიდლსბრო-ქარ 3:2
მილუოლი-ლიდსი 1:0
ნოტინგემი-ვულვზი 1:2
ჰალი-სანდერლენდი 1:1
შეფილდი-ნორვიჩი 0:1
ბარნსლი-ასტონ ვილა 0:3

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ლევანტე-ვალენსია 1:1
ხეტაფე-ბარსელონა 1:2
ბეტისი-დეპორტივო 2:1
ატლეტიკო-მალაგა 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	4	4	0	0	11-1	12
2.სოსიედადი	3	3	0	0	10-4	9
3.ატლეტიკო	4	2	2	0	8-3	8
4.სევილია	3	2	1	0	5-1	7
5.ბილბაო	3	2	1	0	3-0	7
6.ლევანტე	4	1	3	0	5-4	6
7.ვალენსია	4	1	3	0	4-3	6
8.ლეგანესი	4	2	0	2	3-3	6
9.ბეტისი	4	2	0	2	5-7	6
10.ეიბარი	4	2	0	2	2-4	6
11.რეალი	3	1	2	0	6-3	5
12.ხეტაფე	4	1	1	2	3-4	4
13.ჰირონა	3	1	1	1	3-4	4
14.სელტა	3	1	0	2	4-5	3
15.ვილიარეალი	3	1	0	2	3-5	3
16.ლას პალმასი	3	1	0	2	4-7	3
17.დეპორტივო	4	0	1	3	5-11	1
18.ესპანიოლი	3	0	1	2	1-7	1
19.ალავესი	3	0	0	3	0-4	0
20.მალაგა	4	0	0	4	1-6	0

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ვალიადოლიდი-გრანადა 2:1
ლორკა-რეუსი 1:1
სევილია ბ-რაიო 0:0
ოსასუნა-ალმერია 2:1
ნუმანსია-ხიხონი 3:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-მაინცი 4:0
ვერდერი-შალკე 1:2
აინტრახტი-აუგსბურგი 1:2
შტუტგარტი-ვოლფსბურგი 1:0
ლაიპციგი-გლადბახი 2:2

სატურნირო ცხრილი:

1.ჰანოვერი	4	3	1	0	5-1	10
2.ბაიერნი	4	3	0	1	9-3	9
3.შალკე	4	3	0	1	7-3	9
4.დორტმუნდი	3	2	1	0	5-0	7
5.ლაიპციგი	4	2	1	1	8-5	7
6.აუგსბურგი	4	2	1	1	7-4	7
7.ჰოფენჰაიმი	3	2	1	0	5-2	7
8.ჰამბურგი	4	2	0	2	4-5	6
9.შტუტგარტი	4	2	0	2	3-5	6
10.გლადბახი	4	1	2	1	5-5	5
11.ჰერტა	3	1	1	1	3-3	4
12.აინტრახტი	4	1	1	2	2-3	4
13.ვოლფსბურგი	4	1	1	2	2-5	4
14.მაინცი	4	1	0	3	3-7	3
15.ფრაიბურგი	3	0	2	1	1-4	2
16.ლევერკუზენი	3	0	1	2	4-8	1
17.ვერდერი	4	0	1	3	2-6	1
18.კიოლნი	3	0	0	3	1-7	0

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

დიუსბურგი-ნიურნბერგი 1:6
ზანდჰაუზენი-კაიზერი 1:0
ზ.პაული-ინგოლშტადი 0:4

იტალია. სერია ა

კროტონე-ინტერი 0:2
ფიორენტინა-ბოლონია 2:1
რომა-ვერონა 3:0

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	4	4	0	0	10-1	12
2.იუვენტუსი	3	3	0	0	10-2	9
3.ნაპოლი	3	3	0	0	9-2	9
4.ლაციო	3	2	1	0	6-2	7
5.ტორინო	3	2	1	0	5-1	7
6.სამდორია	2	2	0	0	4-2	6
7.რომა	3	2	0	1	5-3	6
8.მილანი	3	2	0	1	6-5	6
9.ფიორენტინა	4	2	0	2	8-6	6
10.სპალი	3	1	1	1	3-4	4
11.ბოლონია	4	1	1	2	3-6	4
12.უდინეზე	3	1	0	2	4-5	3
13.ატალანტა	3	1	0	2	3-5	3
14.კიევო	3	1	0	2	3-6	3
15.კალიარი	3	1	0	2	2-5	3
16.ჯენოა	3	0	1	2	2-5	1
17.სასუოლო	3	0	1	2	1-5	1
18.კროტონე	4	0	1	3	0-6	1
19.ვერონა	4	0	1	3	1-11	1
20.ბენევენტო	3	0	0	3	1-4	0

იტალია. სერია ბ

ბრეშა-პრო ვერჩელი 0:0
ვირტუსი-ტერნანა 3:1
კრემონეზე-კარპი 1:1
ნოვარა-ჩიტადელა 1:0
პერუჯა-პარმა 3:0
სალერნიტანა-პესკარა 2:2
ფოჯა-პალერმო 1:1
ფროზინონე-ბარი 3:2
ემპოლი-ასკოლი 3:0

საფრანგეთი. 1 ლიგა

მონაკო-სტრასბური 3:0
დიჟონი-სტ.ეტიენი 0:1
გენგამი-ლილი 1:0
ნანტი-კაენი 1:0
ტრუა-მონპელიე 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	5	5	0	0	19-3	15
2.მონაკო	6	5	0	1	17-8	15
3.სტ.ეტიენი	6	4	1	1	7-4	13
4.ბორდო	6	3	3	0	10-6	12
5.ლიონი	5	3	2	0	11-5	11
6.ნანტი	6	3	1	2	3-4	10
7.კაენი	6	3	0	3	5-4	9
8.გენგამი	6	3	0	3	7-8	9
9.ანჟე	5	1	4	0	7-5	7
10.მონპელიე	6	2	1	3	4-5	7
11.მარსელი	5	2	1	2	7-10	7
12.ტულუზა	6	2	1	3	8-12	7
13.ნიცა	5	2	0	3	7-6	6
14.ამიენი	5	2	0	3	4-7	6
15.რენი	5	1	2	2	9-9	5
16.ტრუა	6	1	2	3	4-6	5
17.ლილი	6	1	2	3	4-7	5
18.დიჟონი	6	1	1	4	6-13	4
19.სტრასბური	6	1	1	4	4-11	4
20.მეცი	5	0	0	5	2-12	0

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

სოშო-რეიმსი 2:4

ჰოლანდია. ეჰედივიზიონი

ექსელსიორი-ჰერენვენი 1:2
ბრედა-გრონინგენი 2:1
როდა-ტილბურგი 1:3
ზვოლე-ერაკლესი 2:1

პორტუგალია. პრიმეირა დივიზიონი

მარიტიმუ-ავიში 2:1
ბოავიშტა-ბენფიკა 2:1
სპორტინგი-ტონდელა 2:0

ჩეხეთი. პრემიერლიგა

ცსკა-როსტოვი 2:0
ანჟი-კრასნოდარი 1:5

კრასნოდარის მე-5 გოლი თორნიკე ოქრიაშვილმა გაიტანა

შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-კილმანკოკი 1:1
ჰამილტონი-ჰართსი 1:2
სელტიკი-როსი 4:0
დანდი-სტ.ჯონსონი 3:2
ჰიბერნიანი-მოზერველი 2:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

ალტახი-რაპიდი 2:2
ადმირა-შტურმი 2:1
ვოლფსბერგერი-ლინცერი 0:0

ბელგია. ა დივიზიონი

კორტრაიკი-ანდერლეხტი 2:2
ლოკერენი-ანტვერპენი 1:1
შარლერუა-ბევერენი ..... 2:2(0:0)
სტ.ტრუიდენი-გენკი 2:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

ლევადიაკოსი-ქსანთი 1:0
პაოკი-პანეთოლიკოსი 1:0
ოლიმპიაკოსი-ასტერასი 1:1

თურქეთი. სუპერლიგა

მალათია-ბურსა 2:4
აკხისარი-ქარაბუქი 2:1
გალათასარაი-ქაშიმფაშა 2:0

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბრნო-ლიბერეცი 1:2
კარვინა-სიგმა 3:5
სლოვაცკო-ბოლესლავი 0:1

პოლონეთი. ექსტრაკლასი

პლოცკი-პოგონი 3:1
გურნიკი-სლასკი 2:2
ვისლა-პიასტი 2:0

უკრაინა. პრემიერლიგა

ოლექსანდრია-სტალი 4:1
ვერესი-ვორსკლა 1:0
მარიუპოლი-ზვეზდა 1:0

დანია. სუპერლიგა

სონდერიისკე-ჰორსენსი 2:2

შვედეთი. ალსვენსკა

გიოტებორგი-იონჩოპინგი 1:1
ჰაკენი-ელფსბორგი 3:0
დიურგარდენი-იორებრო 4:1

ნორვეგია. ელიტსერია

სტაბეკი-სტრომგოდსეტი 0:2

ფინეთი. პემიერლიგა

ვაასა-კუოპიო 1:3
ილვესი-ჰიკი 1:4
როვანიემი-სეინეიოკი 0:3

მოამზადა მისეულ ჟორჟოლიანმა

თბილისს მსოფლიოს ვარსკვლავები ეწვევიან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოწვევით, თბილისს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ფეხბურთის ვარსკვლავები ესტუმრებიან. საქველმოქმედო მატჩი 29 სექტემბერს გაიმართება.

ჯერჯერობით უცნობია, რა სახის საქველმოქმედო მატჩი ჩატარდება. ასევე უცნობია იმ ვარსკვლავების ვინაობა, ვინც ეწვევა საქართველოს დედაქალაქს.

„მსოფლიოს ვარსკვლავები საქართველოსთვის“ – მატჩის დეტალებთან დაკავშირებით 19 სექტემბერს, 12:00 საათზე ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები პრესკონფერენციას სასტუმრო „ბილტმორში“ გამართავენ.

გიორგი ზაბახიძე მსოფლიოს თასის გენერალური დირექტორია

საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგისა და ასაკობრივი ლიგების აღმასრულებელი დირექტორი, გიორგი ზაბახიძე ფიბას 2019 წლის მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ტურნირის გენდირექტორად დაინიშნა.

სტამბოლში გამართულ ღონისძიებაზე დეტალურად იქნა განხილული ყველა ის დეტალი, რომელიც მსოფლიოს 2019 წლის საკვალიფიკაციო მატჩების ორგანიზებას უკავშირდება. გენდირექტორი იქნება მთავარი ფიგურა, რომელიც საკვალიფიკაციო მატჩების ფიბას სტანდარტების შესაბამისად ჩატარებაზე იქნება პასუხისმგებელი. მის დაქვემდებარებაში იქნებიან შესაბამისი სამსახურები, რომლებიც ფიბას ოფიციალური მატჩების ჩასატარებლად ფიბას ინსტრუქციის შესაბამისად იმუშავებენ.

საქართველო მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში 24 ნოემბრიდან ჩაებმება. ჩვენი ნაკრების მეტოქეები გერმანია, სერბეთი და ავსტრია იქნებიან.

მოამზადა მანეკა ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

18 სექტემბერი

ვერძი – ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. კეთილისმყოფელი დღეა, შესაფერისი კომერციული საქმიანობისათვის. **კურო** – საქმეებს სწრაფად და მარტივად მოაგვარებთ. კოლექტიური მუშაობა გაამართლებს. **ტყუპები** – ახალი ნაცნობობა ხელსაყრელი იქნება. შემოქმედებითი აღმაფრენა გეწვევათ. **კირჩხიბი** – დასახული მიზნის მიღწევაში ხელი არ შეგეშლებათ. გარს საიმედო პარტნიორები შემოიკრიბეთ. **ლომი** – ნებისმიერი ინიციატივა წარმატებით დაგვირგვინდება. დიდი ხნის ოცნება გისრულდებათ. **ქალწული** – პრინციპულობა გამოიჩინეთ. უკან ნუ დაიხევთ. საქმეს შემოქმედებითად მიუდექით. **სასწორი** – საყიდლებზე წასვლა სიამოვნებას მოგანიჭებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **მორიელი** – პასიური დღეა. ამბიციურობა და სიჯიუტე ხეირს არ დაგაყრით. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებებია. ახალგაცნობილი ადამიანი სასიხარულო ინფორმაციას მოგაწვდით. **თხის რქა** – ახლობლებთან ურთიერთობა სავსებით ჰარმონიულია. კოლექტიური მუშაობისათვის კარგი დღეა. **მერწყული** – ნუ იქნებით ზედაპირული. ერიდეთ ხალხმრავლობას, ხმაურიან ადგილებს. **თევზები** – პარტნიორებთან ფინანსური კუთხით წარმოქმნილ უთანხმოებას წერტილი დაესმება. ნუ ეცდებით, ადამიანებს ჭკუა დაარიგოთ.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

პლანეტის უხუცესი ქალი გარდაიცვალა

იამაიკაზე 117 წლის ასაკში გარდაიცვალა ვაიოლეტ მოს ბრაუნი, რომელიც დედამიწის ყველაზე უხუცეს ადამიანად ითვლებოდა. ამის თაობაზე საკუთარ ტვიტერში დაწერა კუნძულოვანი სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრმა ენდრიუ ჰოლნესმა.

პლანეტის უხუცეს ადამიანად ის 2017 წლის აპრილში იტალიელი ემა მორანის გარდაცვალების შემდეგ აღიარეს, რომელიც უკანასკნელი ადამიანი იყო, რომელიც 1900 წლამდე იყო დაბადებული.

ბრაუნი იამაიკაში დასახლება ტრელონიში 1900 წლის 10 მარტს დაიბადა. 2010 წელს მან ინტერვიუ მისცა ადგილობრივ გაზეთს. დღეგრძელმა ქალბატონმა განაცხადა, რომ ის არ ჭამს ღორის და ქათმის ხორცს, ასევე არ სვამს რომს.

– იცით რა, ზოგჯერ საკუთარ თავს ვეკითხები: ნუთუ მართლაც 110 წლის ვარ? – განაცხადა მაშინ ბრაუნმა.

2017 წლის 26 ივლისს ის ისტორიაში უხუცესი ადამიანების სიაში მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა.

მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული კატა მოკვდა

ბრიტანეთის ქალაქ ნიუკასლ-აპონ-ტაინში, რომელიც ტაინენდ-უირის საგრაფოში მდებარეობს, 32 წლის კატა, სახელად ნატმეგი, მოკვდა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმულ კატად ითვლებოდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

კატის პატრონმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ მის შინაურ ცხოველს სუნთქვის პრობლემები ჰქონდა. ნატმეგი ვეტერინარულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მას ვერ უშველეს. სიკვდილის მიზეზი გულის უკმარისობა გახდა.

1990 წელს ღიზ და იენ ფინლეიებმა საკუთარ ბაღში უპატრონო კატა აღმოაჩინეს, რომელსაც ყელის არეში ჩირქოვანი გამონადენი აღენიშნებოდა. სპეციალისტის შეფასებით, ცხოველი მინიმუმ ხუთი წლის იყო. მათ კატას უმკურნალეს, მოუარეს და მას შემდეგ ის მათთან ცხოვრობდა.

ათეულობით ლომვეშაპი დაიღუპა ალიასკას სანაპიროზე

ათეულობით დაღუპული ახალგაზრდა ლომვეშაპი აღმოაჩინეს ალიასკას სანაპიროზე, დასახლებული პუნქტის პოინტ-ლეის მახლობლად.

თევზის და გარეული ცხოველების დაცვის სამსახურის თანამშრომლები ვარაუდობენ, რომ ისინი უფრო დიდმა თანამოძმეებმა გასრისეს, გაქცევის დროს. ჭყლეტის მიზეზი შესაძლოა გახდა პანიკა, რომელიც სავარაუდოდ თეთრი დათვის, მონადირის, ნავის ან დაბალ სიმაღლეზე მფრინავი თვითმფრინავის გამოჩენამ გამოიწვია.

წელიწადის ამ დროს სანაპიროზე ათასობით ლომვეშაპი გამოდის. 64 დაღუპულ ცხოველს შორის უმეტესობა ერთ წლამდე ასაკის იყო.

ლომვეშაპებმა სანაპიროზე გამოსვლას კლიმატის ცვლილებისა და ზღვის ყინულების დნობის გამო მოუხშირეს. ამ ცხოველების რაოდენობა რეგიონში 40 ათასს აღწევს.

მსოფლიოში უხუცესი პანდა მოკვდა

ჩინეთის პროვინცია ფუცზიანის ქალაქ ფუჩჟოუში დიდი პანდა ბასი მოკვდა, რომელიც ამ სახეობის უხუცეს წარმომადგენლად ითვლებოდა. ამ ინფორმაციას ბი-ბი-სი ნიუსი ავრცელებს.

ჩინეთის სახელმწიფო ტელევიზია პანაშვიდის პირდაპირ ტრანსლაციას გადასცემდა.

– ჩვენ დიდი გულისტკივილით ვაცხადებთ, რომ სახელგანთქმული დიდი პანდა ბასი 37 წლის ასაკში დღეს 08:50 საათზე მოკვდა, – განაცხადა დიდი პანდების კვლევითი ცენტრის წარმომადგენელმა, სადაც ბინადრობდა ბასი, – ის მეგობრობის ანგელოზი იყო როგორც სამშობლოში, ისე სხვა ქვეყნებში.

პანდა 1980 წელს ჩინეთის ცენტრალურ ნაწილში დაიბადა. ოთხი წლის ასაკში მყოფი პანდა ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ცივი წყლიდან ამოიყვანა და გადაარჩინა, სადაც გიენებს ემალებოდა. ბასი ნაკრძალში გადაიყვანეს, შემდეგ კი ფუჩჟოუში დიდი პანდების კვლევითი ცენტრში გადაიყვანეს. 1990 წელს ის პეკინში გამართული აზიის თამაშების სიმბოლოდ იქცა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბიოლოგებმა ტეხასის სანაპიროზე გამორიყული უცნაური არსების იდენტიფიცირება შეძლეს

სპეციალისტებმა მოახერხეს უცნაური კბილებიანი არსების იდენტიფიცირება, რომელიც ტეხასის პლაჟზე ქარიშხალ „ჰარვის“ გადავლის შემდეგ აღმოაჩინეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

ამერიკელი ბიოლოგი კენეტ ტაი, ბუნების ისტორიის ეროვნული მუზეუმის სმიტსონის ინსტიტუტიდან, ვარაუდობს, რომ ტალღებმა ნაპირზე გამორიყა მახვილკუდიანი ზღვის გველი, რომელიც Aplatophis chauliodus-ს სახეობას განეკუთვნება.

Aplatophis chauliodus-ს სახეობა ატლანტიკის ოკეანის დასავლეთ ნაწილში გვხვდება, მათ შორის მექსიკის ყურეშიც. ისინი სიგრძეში 84 სანტიმეტრამდე იზრდებიან და 30-დან 90 მეტრამდე სიღრმეში ბინადრობენ. ისინი ნადირობის დროს ფსკერზე ნიადაგში იმალებიან და გვერდით თევზის ან კიბოსნაირების ჩავლას ელოდებიან.

ბიოლოგის თქმით, ასევე არსებობს იმის ალბათობა, რომ არსება კონგეროების ოჯახს, ან ჰეტეროკონგეროთა ქვეოჯახს განეკუთვნებოდეს. უფრო ზუსტი იდენტიფიცირებისთვის აუცილებელია კუდის ბოლოს ნახვა, რომელიც ფოტოსურათებზე არ ჩანს.

14 სექტემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკის ტეხასის შტატის პლაჟზე, რომელსაც ქარიშხალმა „ჰარვიმ“ გადაუარა, აღმოაჩინეს უცნობი არსების გვამი, რომელსაც საკმაოდ მახვილი კბილები აქვს. მისი ფოტოსურათი საკუთარ ტვიტერში ბიოლოგმა პრიტი დესაიმ გამოაქვეყნა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სჯანვოხდი



1. ეროვნული პარკი კენიაში; 2. ... ტრიოლე; 3. ალკოჰოლური სასმელი; 4. ნოტი; 5. თანხის წინასწარ გადახდილი ნაწილი; 6. ერთგვარი გომბეშო; 7. „ქალაქი ...“; 8. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 9. ქალთა ქართული ცეკვა; 10. კუტი, ინვალიდი; 11. თიხის ან ფაიფურის პატარა ჩასაბერი საკრავი; 12. რადიოდანადგარის ნაწილი; 13. როგორიმე წესი, რიგი, ხასიათი; 14. კაუსტიკური სოდა; 15. ... ნოლტი; 16. ტიბეტური ხარი; 17. სპორტის იაპონური სახეობა; 18. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა; 19. გრძელი, ფართო წამოსასხამი; 20. ჯოზეფ ... (ბიზნესმენი); 21. სპორტული ჯირითი; 22. ბუნებრივი საღებავი; 23. მეეტლის ადგილი; 24. სოფიკო ჭიაურელის სცენური სახე; 25. წარწერა ფილმის კადრზე; 26. ჯუჯა კამეჩი; 27. სატურნის თანამგზავრი; 28. მაგნიტი; 29. რისამე აღნაგობა, წყობა; 30. სტალონეს მეტსახელი; 31. მუდმივი დენის გენერატორი; 32. ... საფინი; 33. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იჩქრეია; 2. ბულონი; 3. ინტელექტი; 4. შტირია; 5. დიპტანკი; 7. ელჩი; 11. მუტრუკი; 13. თიბათვე; 15. უნცია; 16. შელფი; 18. წრუტო; 19. როდეო.

თარაზულად: 6. ჩოხელი; 8. პუდინგი; 9. ალიკაპი; 10. რეზიუმე; 12. ნიცშე; 14. ტარანი; 17. ტაბაწყური; 20. აგუძერა; 21. პიკაპი; 22. ტუბერი; 23. ნიკოლაძე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჯანაოზი; 2. კინგსტონი; 3. გემრიელი; 4. ჩაკრულო; 5. ონაგრი; 9. ტავრია; 11. სულგუნი; 12. ლაღიძე; 14. კასტელი; 18. ალაფი; 19. გიუმი.

თარაზულად: 4. ჩანახი; 5. ორდინარი; 6. ტენგე; 7. ოკინავა; 8. აგენტი; 10. კროსი; 13. ზეკარი; 15. ტრავმა; 16. ლეგო; 14. ჩოხა; 20. ტანინი; 21. სევანი; 22. კაფსულა; 23. მადერა.

სოფო ნიჟარაძე ევროფესტივალის მაყურებლის რჩეულია

მომღერალი სოფო ნიჟარაძე ევროფესტივალის მაყურებლის რჩეული გახდა.

რამდენიმეტურიანი „ფეისბუქ“ გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ევროვიზიის ქართული ჟურნალის, საზოგადოებისა და ევროფესტივალის მაყურებლის რჩეული საქართველოდან სოფო ნიჟარაძე გახდა.

– მადლობა მხარდაჭერისთვის, არც ვიცოდი, გამოკითხვა თუ იყო! მადლობა, მიყვარხართ, – განაცხადა სოფო ნიჟარაძემ.

მომღერალმა საქართველო ევროვიზიის მუსიკალურ კონკურსზე 2010 წელს, სიმღერით „შაინ“ (ნათება) წარადგინა. მან მაყურებლისა და ჟიურის ერთობლივი ქულათა ჯამით მე-9 ადგილი დაიკავა.

ქეთი დოლიძემ თეატრიდან საკუთარი ნივთები ფანჯრიდან გაიტანა

რეჟისორმა ქეთი დოლიძემ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში კუთვნილი კაბინეტი დაცალა და საკუთარი ნივთები ფანჯრიდან გაიტანა. თეატრის კედელს კიბე მიადგეს და მუშებმა რეჟისორის პირადი ნივთები სპეციალურ მანქანაში ჩააწყვეს.

ამ ინფორმაციამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და მრავალი კითხვა გააჩინა, თუ რატომ მიმართა ამ მეთოდს ქეთი დოლიძემ.

რეჟისორმა გადაწყვიტა თავის საქციელთან დაკავშირებით განმარტებები გაეკეთებინა:

– ნუ შეჭამეთ ტვინი! ფანჯრიდან იმიტომ ვარჩიეთ ჩემი ნივთების გადმოტანა, რომ იოლი ყოფილიყო და მანქანასთან ახლოს! და არავინ გაწვალებულიყო!!!! მორჩით ამ ინსინუაციებს!!!! და საერთოდ, ვისი რა საქმეა?!?!

ქეთი დოლიძე კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ შეცვალა, რომელიც მანამდე ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო.

არჩილ სოლოღაშვილი ახალი გადაცემის წამყვანი გახდა

18 სექტემბრიდან „მარაო“ განახლებული ეთერით ერთგულ მაყურებელს უბრუნდება.

ეთერში ბრუნდება გადაცემები „უხერხული კითხვები“, „გარდერობი“, „პომადა“...

მაყურებლისთვის კარგად ნაცნობ გადაცემებს, სრულიად ახალი გადაცემებიც შეემატება, რომლებსაც წამყვანებიც ახალი ეყოლება. ახალ გადაცემას წაიყვანს მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი არჩილ სოლოღაშვილი, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „სხვა შუადღის“ წამყვანი იყო.

ელენე ახვლედიანის შთამომავლებს ისევ ქუჩაში დარჩენა ემუქრებათ

ქართველი მხატვრის ელენე ახვლედიანის შთამომავლებს ისევ ქუჩაში დარჩენა ემუქრებათ. ცნობილი მხატვრის შთამომავლის იკა ახვლედიანის განცხადებით, მისი 77 წლის დედა, მეუღლე და 4 მცირეწლოვანი შვილი სულ მალე ღია ცის ქვეშ აღმოჩნდება.

იკა ახვლედიანი:

„სოს. გახსოვთ ალბათ, ჩემი სახლის და „მევახშეების“ ისტორია. ისტორია, სადაც უძრავი ქონების შემსყიდველი, გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა, გვთხოვდა უკან დაგროვილ ვალს, რომელიც ჩემს ინვალიდის სავარძელში მყოფ ნათესავს მოხმარდა, თუმცა ამ ვალის ლომის წილი მაინც ჯარიმებმა შეადგინა. გადაუხდელობის შემთხვევაში, მიჰქონდათ ჩემი და ჩემი ოჯახის სახლი. ეს მათთვის, ვინც არ იცის ეს ისტორია.

პირველ რიგში, მინდა ყველას დიდი მადლობა ვუთხრა დახმარებისათვის, იმ გაჭირვების დროს. უამრავი ნაცნობი, თუ უცნობი ადამიანების მხრიდან ვიგრძენით ძალიან დიდი მხარდაჭერა, მორალური თუ ფინანსური. მადლობა დიდი იმ ხელოვან ხალხს, ვინც უსასყიდლოდ გადმოგვცა თავიანთი ნამუშევრები გამოფენა-აუქციონისათვის, რომელსაც თიბისი ბანკმა გაუკეთა ორგანიზაცია. შედეგად, შეგროვდა გარკვეული თანხა, რომელიც, ჩვენ იმედი გვქონდა, ამ ძნელბედობის დროს წინ წაიგდებდა ჩვენ საქმეს და მთლიანი თანხის რაღაც ნაწილს გაუსტუმრებდა ჩვენს მევალეებს.

უკვე დაწყნარებულები ვიყავით, რომ გადახდის საწყის ეტაპზე ეს თანხა გაგვიადვილებდა მე და ჩემს ოთხ შვილს სახლის შენარჩუნებას. დარჩენილ ნაწილსაც ეტაპობრივად დავფარავდით. სამწუხაროდ, ჩვენდა განსაცვიფრებლად, „მევახშეები“ შეგროვებულ თანხას ხელს არ კიდებენ და ითხოვენ სრულ 60 000 დოლარს.

როგორც გახსოვთ, ჩვენ უსასყიდლოდ გადავეცით ხელისუფლებას ელენე ახვლედიანის სახლი და უამრავი შედევრი-ნახატი, რომელთა ფასიც (თითოეულის) ასეულ ათასობით დოლარში არის შეფასებული და ამ ნახატთა რიცხვი არის 3600 ერთეული. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილზე პრეტენზია არასდროს გამოგვიცხადებია, თუმცა ერთი ტილოს ფასიც გაგვისტუმრებდა ვალს.

მთავრობის მხრიდან არანაირი მხარდაჭერა არ გვიგრძნია. შეიძლება ვინმესთვის ამ ისტორიის კიდევ ერთხელ გახმაურება მომაბეზრებელიც იყოს, ჩვენთვის კი ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. უამრავი გულშემატკივრის დახმარებით შეგროვდა თანხა, არცთუ ისე ცოტა, რომელსაც შეგნებულად არ გვართმევენ... და უკვე თვის ბოლოს, გვემუქრებიან გასახლებით.

შექმნილ სიტუაციაში, აღარც ვიცით, რა ვქნათ. დრო კი ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს. გვინდა მივაწვდინოთ ხმა დღევანდელ მთავრობას. ბოლოს და ბოლოს, იქნებ გამოგვეხმაურონ ის პირები, რომელთაც შეუძლიათ და ევალებათ კიდეც, გააჟღერონ თავიანთი აზრი ამ კონკრეტულ შემთხვევაზე. უკვე ჩიხში ვართ და აღარც ვიცით, რა გზას მივმართოთ. იქნებ, რომელიმე ფინანსურმა ორგანიზაციამ ითავოს და გადაიფორმოს ჩვენი სახლი, ჩვენ კი წინასწარ გაწერილი გრაფიკით, გარკვეული წლების განმავლობაში (კონტრაქტით), საშუალება მოგვცეს, პირნათლად დავფაროთ არსებული ვალი. ეს არის გამოსავლის ერთ-ერთი ვარიანტი ჩვენი გადმოსახედიდან.

გთხოვთ ყველას... გამოგვეხმაურეთ და მოგვაწოდეთ თქვენი აზრი და რჩევები არსებული ვითარების გარშემო. ფინალისათვის მინდა ყველას ვუთხრა, რომ იძულებულები ვართ, გამოვიყენოთ ყველა გზა იმისათვის, რომ ჩემი ოჯახი – 77 წლის დედა, ჩემი მეუღლე და ჩემი ოთხი მცირეწლოვანი შვილი არ დარჩეს ქუჩაში, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. წინასწარ დიდი მადლობა და ბოდიში“.

ექვთიმე თაყაიშვილზე დაწყებული ფილმის გადაღებები დასრულდა

ახალგაზრდა რეჟისორმა ნიკოლოზ ხომასურიძემ ექვთიმე თაყაიშვილზე პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის გადაღებები დაასრულა. ფილმში მთავარ როლს რეზო ჩხიკვიშვილი ასრულებს.

ნიკოლოზ ხომასურიძე:

– გილოცავთ თანამებრძოლებო! შევასრულეთ ჩვენი მისია და პირობა!

როგორც ექვთიმე არ გატყდა, ისე ჩვენ არ გავტყდით ამ 2,5 წლის მანძილზე. უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, ბოლომდე ვიბრძოლეთ და გავაცოცხლეთ ექვთიმე თაყაიშვილისა და ქართული საგანძურის გამორჩეული ისტორია.

2017 წლის 15 სექტემბერს, ფილმის გადაღებების ბოლო დღეს, მე მივხვდი, რომ ქართველი საზოგადოების ერთად დგომას უდიდესი ეროვნული საქმეების კეთება შეუძლია!!!

მინდა ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფის ყველა წევრსა და სრულიად ექვთიმეს ლაშქარს, თითოეულ ქველმოქმედ მხარდამჭერს გადაგეხვიოთ, გულითადი მადლობა გითხრათ ასეთი ნდობისა და ერთგულებისთვის.

ჩვენ შეუძლებელი შევძელით და ვფიქრობ, სრულად მივაგეთ ჩვენი პატივისცემა და სიყვარული ქართველი ერისა მსოფლიოს გამორჩეულ, სამაგალითო და პატრიოტ პიროვნებას – ექვთიმე თაყაიშვილს „ღვთისკაცს!“

შევხვდებით მალე მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქის კინოთეატრებში...

ზუგდიდის თეატრის რეკონსტრუქცია იწყება

ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის დრამატული თეატრის რეკონსტრუქციის პროექტი უკვე დამტკიცებულია. მშენებლობის ნებართვას ხელი ოფიციალურად მოეწერა. სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება.

ინფორმაცია ამის შესახებ ჟურნალისტებს თეატრის 149-ე სეზონის გახსნის ღონისძიებაზე მიეწოდათ. თეატრის განახლებულ შენობაში მოეწყობა ევროპული სტანდარტების შესაბამისი ორი დარბაზი. დიდი დარბაზი 370 მაყურებელს დაიტევს, მცირე დარბაზი კი 130 ადამიანზე იქნება გათვლილი. თეატრს ექნება სახელოსნო, საგრიმიორო, სამკერვალო, საკონფერენციო დარბაზი, კაფე. განთავსდება სასტუმრო გასტროლებზე ჩამოსული სტუმრებისთვისაც. დამონტაჟდება განათების, გახმოვანების უახლესი აპარატურა, რისთვისაც 4,5 მილიონი ლარი დაიხარჯება.

ეს თეატრისთვის ახალი სიცოცხლის დასაწყისი იქნება და წლობით არსებული პრობლემა დასრულდება. ამ ყველაფრისთვის 20 მილიონამდე ლარი დაიხარჯება.

ზუგდიდის თეატრის რეკონსტრუქცია 2 წელიწადში უნდა დასრულდეს. უკვე დამტკიცებული პროექტის მიხედვით, ზუგდიდის თეატრი ოთხსართულიანი იქნება.

ბორჯომში სამონასტრო კომპლექსი უმძიმეს დღეშია



დეკანოზი ილია ჭიღლაძე ავრცელებს ინფორმაციას, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დვირთან არსებული სამონასტრო კომპლექსი უმძიმეს დღეშია:

– ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დვირის სამხრეთ-დასავლეთით 3 კმ-ზე, ჩითახევჰესთან, ფოტოები 2013 წელს გადავიღე. IX საუკუნის სამონასტრო კომპლექსი კვლავ უმძიმეს დღეშია. არის ვარაუდი, რომ ეს უნდა იყოს წმიდა ქრისტეფორე კვირიკეწმინდელის მიერ დაფუძნებული კვირიკეწმინდა. მეორე შეხედულებით, კვირიკეწმინდა ფოთოლეთშია. საკითხი ბოლომდე გადაუჭრელია. ვფიქრობ, არქეოლოგიური გათხრები საკვირიკეში პასუხს გაგვცემდა ამ კითხვაზე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროგრამა

ოხშაბათი
18 სექტემბერი

06.00 მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მხიარული ფერმა" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.10** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**გაბარჯვებული ვიქტორია**" **10.00** , **01.30** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვებრინე**" **12.30, 02.30** დღის მხ/ფ "**დეზერტირები**" **14.00, 05.10** "საუკუნის პორტრეტები" - კირიონ მეორე **15.00, 04.10** დოკ/ფ "სიცოცხლე დაბადებამდე" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** "არჩევნები" **22.30** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **23.30** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **23.50** მხ/ფ "**თეთრი სასახლე**" (ჯ.სპეიდერი) **2** arhi **10.07.2017** ორშაბათი

06.30 სერ. "**ღირსების სახელით**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.25** ქრონიკა **10.10** სერ. "**პაპარაძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ელიფი**" **17.35** სერ. "**საშანგი**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.30** იუმორინა **2017 00.30** მხ/ფ "**მგრის ზურგზე**" **01.50** მხ/ფ "**ლეგენდა პერკულასზე**" **03.40** მხ/ფ "**მარტივი ჭეშმარიტება**" **05.10** მხ/ფ "**ლუმის ფარგოს ძარცვა**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ძმარი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამიწელი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" **22.00** მხ/ფ "**მორირა**" **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

08.00 ან/ფ "ვარსკვლავური ომები 2" **09.00** სერ. "**ცისფერი სისხლი**" **11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **13.00** სერ. "**ძველები 6**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება: ექვსმეტანილის ძებვა**" **19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი**" **21.00** სერ. "**სარკალი 2**" **22.30** მხ/ფ "**საწვრთნელი დღე**" **00.50** მხ/ფ "**ამერიკული ისტორია X**" **03.10** მხ/ფ "**უეჯი**" **05.50** მხ/ფ "**საქვაბე**"

08.00 ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "ლეკვი ჩემს ჯიბეში" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.00** ახალი ამბები **12.00, 2.30** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 3.10** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე" **21.00** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** პანორამა **00.00** სერ. "**შავი სია**" **4.10** ცენზურის გარეშე

06.15 ღვთის სახლი "ნიქოზის ღვთაების ეკლესიის კომპლექსი" **06.40** პატერიკი-უსამართლოდ მდევნელის სასჯელი **06.45** ქართული ალბომი "ცინცაძეების ოჯახი" **07.05** ჩვენი საგანძური "პეტრიწონის ღვთისმშობლის ხატი" **07.20** "კვირიაკეს" სიუჟეტი-"ვახტანგ გორგასალი" I, II; **07.40** ჩვენი ფონდი "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სარტყელი და საქართველო" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-სამხრეთ ამერიკის მწვანე ველები" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.25** ქვიშანი დარჩებიან "ლუკა და ნიკოლოზი" **10.35** დ/ფ "ველური ბუნება-მანტერას გრძელი გასეირნება" **11.10** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**მზე შეამღამისა**" **13.30** ან/ფ "ბოლტო" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "ფერწერა ბუმბულით" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფი-ჩილე" **15.50** სპექტაკლი "**ძველი ვოდევილები**" **18.10** მოკ. მხ/ფ "**გაბასვლელი პაიკი**" **18.40** ძველი ათქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მიწათმოქმედი "სტევიის წარმოება" **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში-"ტურიზმი" **20.20** დ/ფ "კაბადოკია-მერვე საოცრება" **20.40** ძილი ნებისა "ადამი და ევა" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი-უფალი მცირე ღვაწლსაც არავის უკარგავს **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა "წმყურის ტაძარი" **22.15** შარავანდედი "ავტოკეფალიის აღდგენა, გიორგი III" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "ესაია" III ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პორტრეტები ერისულენების გალერეადან "მარიამ დედოფალი" **23.45** ღვთის სახლი "იშხანი" I ნაწ. **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** ეპოქა და ადამიანები "მიხეილ ჯავახიშვილი" **01.30** მხ/ფ "**ბესპმე**"

10.00- 03.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 02.30** ბიზნესი **1** (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.45 - 02.45** ტექნოლოგიები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.50 - 02.50** სპორტი**1** (განმეორება ყოველ ერთ საათში) **11.00 - 23.00** ახალი ამბები **-** მთავარი თემა **2** (განმეორება ყოველ ორ საათში) **22.15, 00.15, 01.15, 02.15, 03.15,** უცხოეთის ამბები

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

18 სექტემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.4663

ევრო — 2.9467

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3512

100 რუსული რუბლი — 4.2789

ამინდის პროგნოზი 18 სექტემბრისთვის

13 სექტემბრიდან

ქართული ჰაგიოგრაფია

წიგნში თავმოყრილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის – „შუშანიკის წამების“, „აბოს წამებისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ – პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე – ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას.



ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

14 სექტემბრიდან

ელენე ახვლედიანი

მაღალი პოლიგრაფიული დონით შესრულებული ალბომი არაჩვეულებრივი საჩუქარია მხატვრის თაყვანისმცემლებისთვის და არამარტო მათთვის.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

19 სექტემბრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი

„მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი, ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

21 სექტემბრიდან

გიგო გაბაშვილი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

22 სექტემბრიდან

მანანა ხვედელიძე

ძველი ეგვიპტის ენციკლოპედია



ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი

მანქანის ხიდზე წამოსკუპებულმა კოალამ 16 კილომეტრი გაისეირნა

ავსტრალიაში კოალა ყველგანმავლის ხიდზე აცოცდა და ასეთი ხერხით 16 კილომეტრი გაიარა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი სააგენტო ავრცელებს.

მძღოლმა მანქანა მას შემდეგ გააჩერა, როდესაც ცხოველი ხმა შემოესმა. კოალა მანქანის ხიდიდან მაშველებმა ჩამოიყვანეს. ამისთვის კი მათ მანქანისთვის ბორბლის მოხსნა დასჭირდათ.

ცხოველთა გადარჩენის საქველმოქმედო ფონდის წარმომადგენელმა ჯეინ ბრისტერმა, რომელიც კოალას განთავისუფლების ოპერაციაში მონაწილეობდა, განაცხადა, რომ კოალა მდედრი გამოდგა, თუმცა მის ნაშიერს ვერსად მიაგნეს.

– მთელი ღამე და მთელი მომდევნო დღე ვეძებდი, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, – განაცხადა ბრისტერმა.

გადარჩენილ კოალას რამდენიმე დღე ვეტერინარები უვლიდნენ, შემდეგ კი ის ბუნებაში დააბრუნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

სადარბაზოს კართან გოგონა მივიდა, ერთ-ერთ ზარის ღილაკს თითი დააჭირა. ყმაწვილის ხმა კითხულობს:

– გისმენთ, ვინ არის?

– მე ვარ. სახლში ხარ?

– არა, აგარაკზე ვარ!

– როდის დაბრუნდები?

– ზეგ!

– კარგი, მშვიდობით.

●●●

დედა ქალიშვილს ეკითხება:

– შვილო, რატომ არ გინდა, იმ ყმაწვილს გაჰყვე ცოლად?

– წითურთმიანია და იმიტომ!

ამ დროს დივანზე წამოწოლილმა მამამ გამოსძახა:

– მაგაზე არ იდარდო, ერთი წელი თანაცხოვრებისა და წითლის მაგივრად თეთრი თმა ექნება!

●●●

სამსახურის დაწყების მსურველს კომპანიის ხელმძღვანელი ეკითხება: – ჩვენს კომპანიაში რომელი ადგილის დაკავებას ფიქრობთ უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში?

– იმ ადგილის, სადაც ჩემი კომპიუტერის მონიტორს ვერავინ დაინახავს.

●●●

გოგონა ბიჭს ეკითხება:

– როგორ ფიქრობ, ჩემი სიყვარული შეიძლება?

– მგონი შეიძლება.

– მერე, რაღას ელოდები?

●●●

ახალი რუსი შვეიცარიის ბანკში მივიდა და ბანკის თანამშრომელს ეუბნება:

– მინდა ანგარიში გავხსნა და ფული შევიტანო.

– რამდენის შეტანა გსურთ?

– სამი მილიონი დოლარის, – ხმადაბლა ეუბნება ახალი რუსი.

– შეგიძლიათ ხმამაღლა ილაპარაკოთ, ჩვენთან სიღარიბე სირცხვილად არ ითვლება.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– მამაკაცებში სწრაფად ვერკვევი.

– ეგ როგორ?

– ერთი კვირის ურთიერთობა ჩემთან და ვხედავ, რომ ის ნერვიული, შეშლილი ფსიქოპათია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

7 სექტემბრიდან

რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

15 სექტემბრიდან

ედუარდ ლირი

ბუკნაჭო და ფისუნია

კრებულში შესულ ყოველ ლექსს განთქმული მხატვრის, რობერტ ინგპენის, ხალისიანი ილუსტრაციები ამშვენებს.

წიგნი ბრწყინვალე საჩუქარია პატარებისთვის, რომელიც მათ კიდევ მრავალი საუკუნის განმავლობაში განუვითარებს წარმოსახვის უნარს.



ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

ფერგი და ჯოშ დიუამელები დაშორდნენ

მომღერალმა ფერგიმ და მსახიობმა ჯოშ დიუამელებმა განქორწინების თაობაზე განცხადება გააკეთეს. წყვილი ერთმანეთს რვაწლიანი ქორწინების შემდეგ დაშორდა.

– უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით გადავწყვიტეთ, რომ წელს ერთმანეთს დავშორდეთ, – ნათქვამია მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაში, – იმისთვის, რომ ჩვენი ოჯახის წევრებს ამასთან შეგუების საშუალება მივცეთ, ჩვენ გადავწყვიტეთ, ეს ფაქტი საიდუმლოდ შეგვენახა მანამდე, ვიდრე ის საზოგადოებისთვის ცნობილი გახდებოდა. ჩვენ ერთმანეთს ვეხმარებოდით და კვლავაც მივეხმარებით ისევე, როგორც ჩვენი ოჯახის სხვა წევრებსაც.

42 წლის ფერგიმ და 44 წლის ჯოშმა 2009 წელს იქორწინეს, მათი რომანის დაწყებიდან ხუთი წლისთავზე. ქორწინებაში მათ შეეძინათ შვილი ეკლს ჯეკი, რომელიც ამჟამად ოთხი წლისაა.

სი-ენ-ენ-ის წამყვანმა ტრამპის „მოწამვლის“ სურვილზე ისაუბრა

ამერიკელმა შეფ-მზარეულმა, მწერალმა და ტელეარხ სი-ენ-ენ-ის წამყვანმა ენტონი ბურდენმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერის კიმ-ჩენ ინის „მოწამვლა“ სურდა.

დასმულ შეკითხვაზე პასუხისას, თუ რას მიიტანდა შერიგების სუფრაზე, რომელსაც კიმ ჩენ ინი და დონალდ ტრამპი მიუჯდებოდნენ, ბურდენმა განაცხადა: „ბოლიგოლებს“.

ბოლიგოლი – მცენარეა, რომლის ყველა ნაწილი შხამიანია. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, სწორედ ამ მცენარის წვენით მოწამლეს სოკრატე.

– რა თქმა უნდა, ბურდენი ხუმრობდა. უფრო სწორად... ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ის ხუმრობდა, – განაცხადა ინტერვიუს კომენტირებისას პორტალმა Mediaite-მ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი

თარაზულად: 5. მუქთახორა; 6. კავკასიის კლდეზე მიჯაჭვული ბერძენი ტიტანი; 8. იაპონიაში წინკარში ფეხსაცმლის გასახდელი ადგილი; 10. ხეში ჩასმული სხვადასხვა ფერის ხის ფირფიტები; 11. ბრგე და ღონიერი კაცი; 13. უპირატესი მდგომარეობა; 16. ნიკელისა და სხვა მეტალის შენაერთი; 18. სახელმწიფო აზიაში; 19. თაღლითი; 21. ჩრდილო ამერიკის ზომიერი კლიმატური სარტყლის ველები; 22. ყურის გამოსაკვლევი სამედიცინო ხელსაწყო; 23. პროტესტანტების მღვდელი.

შვეულად: 1. სამხედრო საავადმყოფო; 2. ... რივზი; 3. ორგანული სასუქი; 4. ზღვის თევზი; 7. კატის ნაშიერი; 9. კურკოვანი ხილი; 12. უცხოეთის გემი, რომელიც პოლიციურ სამსახურს ეწევა ნავსადგურში; 14. ბერძნული სიმებიანი საკრავი; 15. თირკმლების ანთება; 17. საპასუხო დარტყმა ფარიკაობაში; 20. საკოსტიუმე ქსოვილი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ